

სათავე ყოვლისა – ანი და ბანი

შენობა საძირკვიდან იწყება. ნიგნიერების სათავე კი ანბანია. როგორ დაიწყო, სად გაჩნდა პირველად ქვაზე ამოკვეთილი პიქტოგრამები თუ ტყავზე შესრულებული ჩანანერები, რომლებიც შემდეგ აზრის შენახვის დიდ მდინარედ იქცა და ჩვენი კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, ნიგნიერება შემოგვინახა?! ამ კითხვის პასუხი ათასწლეულების მიღმა დაფარულია.

დღეს ჩვენი მიზანი არაა იმ მეცნიერთა ფასდაუდებელი ნაშრომების განხილვა, ვინც ქართული ანბანის სიძველის, სილამაზისა თუ მასში ჩადებული უამრავი საიდუმლოს კვლევა შემოგვთავაზა. ის კი ნამდვილად გვინდა, თანამედროვე ახალგაზრდობაც დაინტერესდეს და გაცნობიეროს, რა განძის მფლობელი ვართ. ესაა ჩვენი უძველესი, უნატიფესი, მხატვრობის დონეზე აყვანილი ქართული ანბანი, რომელიც იაკობ გოგებაშვილმა გასაოცარი თანამედროვეობით აკინძა პატარებისთვის, ესაა დღემდე შემონახული ხელნაწერები და ის საიდუმლოებანი, რაც მასშია ჩაქსოვილი. თანამედროვე ტექნიკით ნაბეჭდმა დასურათხატებულმა ნიგნებმა ვერ გაახუნეს გადამწერთა ნახატებით გაფორმებული, ულამაზესი კალიგრაფიით შესრულებული ხელნაწერები.

ჩვენი თანამედროვეობა ტექნიკის უდიდესი აღმავლობის ხანაში ცხოვრობს. ელექტრონულმა კავშირებმა და კერძოდ კომპიუტერმა მოწყობა ჩვენი ახალგაზრდობა წერა-კითხვას – ხელით წერას და წიგნს. გულსატკეპნია, რომ გამონაკლისთა გარდა, მათი გა-

ნათლების დონე ზედაპირულია, ხოლო ხელწერა – საშინელი! ასოები საშინაო დავალების ჩანერა-ჩაჯღაბნის დონეს აღარ სცილდება, ხმამაღლა კითხვაც ბევრს უჭირს... თითქმის აღარავინ ფიქრობს, რომ ქართულ ასოებს მარტო სიტყვების ჩანერის დანიშნულება კი არა აქვს, ისინი ფურცელზე აღმოცენებული მშვენიერების ნიმუშები უნდა იყოს, ჩვენი კედლის მხატვრობისა და მრავალხმიანი საგალობლების სადარი! ბოლო წლებში საქართველოს საპატრიარქოსა და ხელნაწერთა ინსტიტუტის თაოსნობით ეწყობა ქართული კალიგრაფიის კონკურსები, სადაც უმთავრესად მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებული თვითნასწავლი მოზარდები მონაწილეობენ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

ისმება კითხვა: რა იქნა სუფთა წერა?! საგანი, რომელიც დაწყებით კლასებში ისწავლებოდა და ისე გაქრა, თითქოს ვერავინ შენიშნაო. პირველ კლასში კი სწავლობენ წერა-კითხვას, მაგრამ მომდევნო კლასებში აშკარად სავალალო შედეგი იკვეთება... ბავშვების უმეტესობამ არც წერა იცის ხეირიანად და არც – კითხვა!

ანბანის ცოდნა ასოების ცნობით არ ამოიწურება – ლამაზად და სიყვარულით წერა უნდა ვასწავლოთ პატარებს. დასაწყისშივე მარტივად უნდა ვუამბოთ მათ ანბანის ისტორია, დანიშნულება. მოსწავლემ უნდა იცოდეს ანბანის რიცხვითი მნიშვნელობები, ზოგადად მაინც უნდა შეეძლოს მასში გამხეული მზისა თუ მთვარის კალენდრების, წელიწადის დღეთა რაოდენობის

შესახებ საუბარი. უნდა იცოდეს, რომ იმ თოთხმეტ ანბანთაგან, რაც მსოფლიოში არსებობს, ერთ-ერთი ორიგინალური, უძველესი და უმშვენიერესი, სამჯერ გარდაქმნილი, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული ქართული ანბანია. თუ იმასაც დავუმატებთ და ხელშესახებად გავაცნობთ ჩვენი მნიგნობრობის ისტორიას, თვალთ ვაჩვენებთ საცავებში დაცულ ხელნაწერებს, მათში ცოდნის გარდა სიამაყესაც გავაღვიძებთ. ამით უფრო მეტი ახალგაზრდა დაინტერესდება კალიგრაფიით.

მასობრივი კომპიუტერიზაციისა და, მით უმეტეს, გლობალიზაციისგან ეროვნულ საუნჯეებს დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. ის სიყვარული, რაც უფროს თაობას გვაქვს, ახალგაზრდობას უნდა გადავცეთ.

ორიოდ სიტყვა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ კურსზეც უნდა ვთქვათ: საკუთარი კულტურის, საკუთარი ღირსების შეგრძნებით უნდა წარვსდგეთ ევროპის, ამერიკის თუ სხვათა და სხვათა წინაშე.

სათავე სკოლებშია – აღვადგინოთ სუფთა წერა! ჩვენმა ბავშვებმა წერა-კითხვა კარგად უნდა იცოდნენ. არ არსებობს უნიჭო ბავშვი, მათ მხოლოდ ზრუნვა და ნიჭის სიყვარულით გამომუშავება სჭირდებათ. სიყვარული კი ყველა კეთილი საქმის საწყისია!

ველოდებით ამ დარგის პროფესორ-მასწავლებელთა, განათლების სამინისტროს და საზოგადოების გამოხმაურებას.

მარი გველესიანი

გამონათქავე

„ანი“ და „ჰოე“ – დასაბამი ქართველი ერის

ჩვენი წინაპრები – ქალდეველნი ქვებზე წერდნენ რჯულის კანონებს და გზავჯარედინებზე დგამდნენ ამ ქვებს, რომ მგზავრებს ნაკითხათ...

ჩვენი წინაპრები წერდნენ კვირბებზე და ხარის ტყავზე.

უძველესი ნიგნები დაწერილია ასომთავრულით და უფრო წინარე ჟამთა – მხატვრული, პეტროგლიფური ნიშნებით!

ასეთი ნიშნები გამოჩნდა ფხოველთა უძველესი ტაძრებიდან – მზის „ზიკურათებიდან“ ჩამოცვენილ ქვებზე...

ქართული ანბანი უფლის მიერ ნაბოძარი მადლი და ჯილდოა ქართველი ერისთვის – იგი არის არა ოდენ „ან-ბანი“, არამედ „ანი და ჰოე“ – დასაბამი ჩვენი ცისა და მიწის – ჩვენი სულის და სისხლის ენერგია...

ჩვენი წინაპრები ტაძრის კედლებზე, ფრესკებზე, სარკოფაგებზე წერდნენ ასომთავრულის ღვთიურ ნიშნებს! ნათელმხილველნი ცაზედაც კი ხედავდნენ და კითხულობდნენ მას მნათობთა შორის.

დედამიწას კოსმოსში მიაქვს ამ ქვების ჟღერა: და ქართული ან-ბანის მუსიკა... კაცობრიობა კოსმოსიდან ისმენს „ჩაკრულოს“, როგორც სამყაროს მუსიკალურ ბგერათა დასაბამს...

მემატანე-მნიგნობარნი დიდი მოკრძალებით და რუდუნებით ეპყრობოდნენ ქართულ ანბანს – მათი ხელნაწერები ბრწყინვალეა – უფლის სიყვარულით ნაკარნახევი: ზოგჯერ მხატვრულად და ქარაგმულად გამოსახული...

... ჩვენ ვიცით „ვეფხისტყაოსნის“ ანასეული ხელნაწერი; გვაქვს „მცხეთური ბიბლიის“ ბრწყინვალე ხელნაწერი ნიგნები...

ათონის თუ სინაის მთაზე მოღვაწე მნიგნობართა ნახელავი...

რა თქმა უნდა, ხელნაწერი იყო „მუშანის ნამებამი“ ხსენებული „იადიგარი“...

ერთი სიტყვით, ქართველ მნიგნობარ-კალიგრაფთა მოხატულმა ნიგნებმა, ლამაზმა, დახვეწილმა ხელნაწერებმა მოიტანეს იმ დროთა სუნთქვა და ესთეტიკა, ანბანისადმი მოპყრობის კულტურა...

სამწუხაროდ, ჩვენ თანდათან გავვიხუნდა ენის და ანბანის სიყვარული, მისი არსის და მისიის შეცნობის უნარი...

ჩვენ, ჩვენს ბავშვებს დავავიწყეთ ასოთა გამოსახულების ძერწვა – როდესაც დღევანდელი მოსწავლის ნაწერს ჩახედავ, ვერ გაიგებ, რა ენაზე და რომელ ანბანზეა ნათიხნი...

მომავალ დროთა (საუკუნეთა) მემატანენი ამ ტექსტებით ვერ გაიგებენ, თუ როგორი იყო ქართული ანბანის ხელნაწერი ჩვენ საუკუნეში...

თუ გვინდა ტექნოკრატული, გლობალურ-კომპიუტერული „სფინქსის“ ბრწყალებიდან გამოვიხსნათ (გამოვგლიჯოთ) ქართული ენა და დამწერლობა, მისი გამომსახველი ასო-ნიშნები, ანუ ანბანი უნდა ვაქციოთ ღირსების და დაცვის საგნად...

ქართული ანბანის ყოველ ასო-ნიშანს ისეთი მხატვრული ბრწყინვალეობა და გრაფიკული აღნაგობა ახლავს,

რომ მისი მხოლოდ ხატვა და ძერწვა შეიძლება.

სამწუხაროდ, ჩვენ აღარ ვწერთ ამ ასო-ნიშნებს საკუთარი ხელით! – გვინერნენ კომპიუტერული რობოტები...

ჩვენ არ ვასწავლით ჩვენს შვილებს სკოლებში სუფთა წერას... და თანდათან ვკარგავთ ამ დროთა უდაბნოში საკუთარ მენტალობას – სულის ტვიფარს!

ჩვენ ვიქცევით ჩვენივე ენის და ისტორიის მტრებად, უფლის სიტყვის ნამშლელებად, თუ სკოლებში ვერ ვასწავლით შვილებს ქართული ანბანით სწორად წერის კულტურას სკოლებში... და ქართული ენის სიყვარულს.

კომპიუტერში „ჩარჩენილი“ და „შენახული“ ანბანი და „სიტყვათა საიდუმლო“ შეიძლება ერთ ნაშში გაქრეს: და ჩვენი მნიგნობრული კულტურა გადაშლილ „პალიმფსესტად“ იქცეს...

ამდენად, ნიგნები უნდა ვწეროთ ხელით: ვტვიფროთ, ვხატოთ და ჩვენი ხელნაწერი ნიგნები უნდა ვებჭდოთ და გამოვცეთ – ეს იქნება ძველი და ახალი ცივილიზაციების სინთეზი! სკოლებს კი ხელისუფლებამ უნდა დაუბრუნოს სუფთა წერის გაკვეთილები!

ლამაზი ხელწერა მოსწავლის ღირსებად უნდა იქცეს.

კობა იაკობ-აბა არაბული
მწერალთა ეროვნული აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი,
ტრადიციათა ცოდნის კათედრის
გამგე

პასუხად რ. მიშველადის მტკიცებისა („მწერლის გაზეთი“, 2013, 1-30 ნომბერი, 9) – ეს მწერლები მწერალთა აკადემიას ემიჯნებიან, მწერალთა კავშირის მომხრეებად რჩებიანო – ვაქვეყნებთ შევსებულ-დაზუსტებულ სიას იმ მწერლებისა, რომლებმაც განაცხადეს: ამის თაობაზე ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს, არც ზეპირად, არც წერილობით თანხმობა არ მიგვიცია, ჩვენ მწერალთა აკადემიის მომხრეებად ვრჩებით:

- განსიანი აპაკი**
- თავაკი გიგო**
- თევზაკი აპაკი**
- ივარდავა დილარ**
- კახაკი ლადო**
- კობარიკა ნოდარ**
- კორინთელი კამილა**
- ლუბანიკა ელგუჯა**
- მამულაშვილი ზურაბ**
- პაპიაშვილი თამარ**
- საბაშვილი შალვა**
- სივსივაკი გაჟან**
- სიყმაშვილი თინათინ**
- ტოგონიკა შოთა**
- შანიკა ნოდარ**
- ჩალაბაშვილი თემურ**
- ჭიიშვილი გონარ**
- ჭიიშვილი რეზო**
- ჭილაშვილი ქეთევან**
- ხავთასი ტარიელ**
- ხარაიშვილი ავთანდილ**
- ჯაპახიშვილი თამარ**

რაც შეეხება ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს, იგი, როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, 26 აკადემიკოსთან ერთად არის მწერალთა აკადემიის საპატიო წევრი.

და კიდევ: მწერალთა აკადემიაში შემოსულია ლანდა მასხულიასა და ფაუსტ ნადარაიას წერილობითი განცხადებები, რომლითაც ითხოვენ აკადემიის წევრობა. არც ერთ მათგანს ეს განცხადება უკან არ გაუტანია, ამდენად, ისინიც აკადემიის წევრებად რჩებიან.

გავრძელება იქნება

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი
ბრძანება №11

2013 წლის 6 დეკემბრიდან საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის რუსთავისა და ქვემო ქართლის მწერალთა რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ დაინიშნოს მწერალი **მარი ჩაფიკა**.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი
თ. ნიჟნივაძე

ქართული ტაძარ - მონასტრების აღმშენებლების,
კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და
სააღვლეთმცოდნეო ბანკის
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი



სრულიად საქართველოს
ქართული - მონასტრის,
მცხეთა-თბილისის მთავარანგელოზის,
საბურთლოს და ცხენო - აფხაზეთის
მონასტრებს,
ყვინფის და ურეკარის
ივანე შიშინის

ჩვენი ურთიერთობა და ურეკარისა!
ქართული ეკლესია-მონასტრის აღმშენებლების,
კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და
სააღვლეთმცოდნეო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის
გისურვებთ განხილვის, დაგვიხმად სიკეთეს,
ქართული ეკლესია და ჩვენი საქმიანობის მონაწილეობისთვის.

ჯიხურის მონასტრის და ვიხილო, დაგვიხმად
მონასტრისაგან ჩვენი აღმშენებლის ფონდი და ფონდის
დამფუძნებლები-ქართველებს.

† ანგელოზი-ჩვენი რეკარია †
ფონდის სასულიერო მსახურისთვის.
ბერი ვაჟია | ქაბაძე ანგელოზი |

ს/კ: 401985544 merabi-dzneladze@rambler.ru saadgilmamulo@gmail.com



შეიქმანა ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლების, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და სააღვლეთმცოდნეო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

ფონდი მონაწილეობს ხელი შეუწყოს და იღვანოს:

დაიცვას ენა, მამული და სარწმუნოება. საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ იზრუნოს ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენისა და ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის.

მონასტრებში მოღვაწე სასულიერო და საერო პირთათვის შექმნას სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამები. მონასტრებთან არსებული, ამჟამად დაცარიელებული სოფლების აღდგენისა და დასახლებისათვის ითანამშრომლოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ხელი შეუწყოს ქართული ოჯახების დემოგრაფიული და სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტას.

ფონდმა, მისი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, მოახდინოს სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და შენობა-ნაგებობების შექმნა საეკლესიო საქმიანობის, სამონასტრო მეურნეობებისა და რიგი შემოქმედებითი სახელოსნოების შექმნისათვის. დააფუძნოს კომერციული სტრუქტურული ერთეული კანონით დადგენილი ნორმებით, ფონდის დაფინანსებისათვის.

მონასტრებში ჩამოაყალიბოს თაბუნთა (გადამწერთა) და სახელოვნებო სკოლები. მეცნიერ-მკვლევართა დახმარებით შეისწავლოს წმიდა მოღვაწეთა ამსახველი ცხოვრება, საეკლესიო სამართლის ძეგლები, ქართული ტრადიციული მედიცინა, მხარეთმცოდნეობითი, რელიგიური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ხელოვნებათმცოდნეობითი, ენათმეცნიერული, გეოგრაფიული, ისტორიული და სხვა სამეცნიერო მიმართულებები. მოიძიოს დაფინანსების წყარო საგამომცემლო საქმიანობისა და თარგმანისათვის. დააფუძნოს საქართველოსა და მის ფარგლებს

გარეთ ქართული ეროვნული სასწავლო დაწესებულებები და ითანამშრომლოს მსოფლიოს კულტურულ და ეროვნულ ორგანიზაციებთან. მოახდინოს ქართული ტრადიციული სპორტული ღონისძიებები.

სრულიად საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიებში მოახდინოს და აღწეროს არსებული ისტორიულ-სურთმომცდრული ძეგლები, ტაძრებში არსებული მნიშვნელოვანი სიმღინდეები და მოამზადოს ნაშრომი გამოცემის სახით და ინტერნეტ სივრცეში გასავრცელებლად. დაეხმაროს მრევლს, რათა მიიღონ მონაწილეობა სამონასტრო აღდგენით სამუშაოებში საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ. დასახოს სამეცნიერო-შემეცნიებითი ღონისძიებები ქართული კულტურული ძეგლების დაცვისა და შესწავლისათვის.

შექმნას საქართველოს ფარგლებს გარეთ ფონდის საქმიანობის წინსვლისა და აღორძინებისათვის სტრუქტურული იურიდიული უფლებამოსილი ერთეულები და მათი მეშვეობით ითანამშრომლოს მსოფლიოს პროგრესულ კულტურულ-ეროვნულ ცენტრებთან და სახელმწიფოს წარმომადგენლებთან.

„ფონდი“ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მჭიდროდ ითანამშრომლებს სახელმწიფო ხელისუფლების, ბიზნესის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან და საქართველოს სიძლიერისათვის მზრუნველ ყველა დაინტერესებულ პირთან.

„ფონდი“ მსოფლიოს ხალხთა ხელოვნების, ტრადიციებისა და ისტორიის გაცნობისათვის დაგეგმავს სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარებას.

ფონდის დამფუძნებლები:

- გურამ ალექსიძე
- მერაბ ძნელაძე
- თამარ ხოხობაშვილი
- ირაკლი ძნელაძე
- ანდრო გომოლაძე
- მიხეილ ქავთარია
- გიორგი (გიგა) ბათიაშვილი
- ზურაბ ბრელიძე

- აკადემიკოსი
- აკადემიკოსი
- პროფესორი
- ხელოვნების მუშაკი
- პროფესორი
- პროფესორი
- აკადემიკოსი, არქიტექტორი
- მეცნიერებათა დოქტორი

საპატიო პრეზიდენტი:

პერი ღავითი / ჭაბუა ამირაჯიბი /
გიორგი მარგველაშვილი

პროფესორი

ფონდის პრეზიდენტი

ფონდის გენერალური დირექტორი

მერაბ ძნელაძე

ანდრო გომოლაძე

ფონდის თანაპრეზიდენტები:

ნიკოლოზ რაჭველი, სოზარ სუბარი, მაკა ასათიანი, ვლადიმერ (ლადო) პაპავა, მერაბ ღვალა, ლევან ფოფხაძე, ივა (იოვანა) სინარულიძე, ზაზა ვაჟაყვი, ირაკლი თევდორაშვილი, ნათელა (ნათია) თურნავა

ქართული ტაძარ - მონასტრების აღმშენებლების,
კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და
სააღვლეთმცოდნეო ბანკის
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი



ქართული ეკლესია-მონასტრის აღმშენებლების,
კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და
სააღვლეთმცოდნეო ბანკის
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

ქართული ეკლესია-მონასტრის აღმშენებლების,
კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და
სააღვლეთმცოდნეო ბანკის
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

ს/კ: 401985544 merabi-dzneladze@rambler.ru saadgilmamulo@gmail.com



ტერმინი „პროსტიტუცია“ უნდა განვმარტოთ ჯერ. იმიტომ კი არა, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველს ჩემი დახმარების გარეშე გაუჭირდება უცხოური წარმომავლობის ამ სიტყვის შინაარსის გაგება. არა! მინდა, თავიდანვე იცოდეს ყველამ, რომ აქ არ ვილაპარაკებ იმ საქმიანობაზე, რასაც ღამღამობით სხვადასხვა ფასად ეწევიან ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე მდგომი ადამიანები. იმათი საქმიანობაც, ფართო გაგებით, თუმცა პროსტიტუციაა, მაგრამ მას მამაპაპურად ბოზობა ჰქვია და მეც ყოველთვის ჩვენებურ სიტყვა-გამოთქმებს ვამჯობინებ, როდესაც უცხოური ტერმინების გამოყენება აუცილებელი არ არის. ამჯერად არ მინდა იმ საქმიანობას მივამოყრდინო თქვენი ყურადღება, რომელსაც ცირკისა თუ რესტორნების ახლომახლო ქუჩებში მდგომი და კლიენტების მომლოდინე ადამიანები ეწევიან, არამედ იმას, რასაც ჩვენი ტელევიზიების პოპულარულ არხებზე (ორიოდე გამონაკლისის გარდა!) მაღალხელფასიანი მუშაკები ასრულებენ. მათი საქმიანობა ბოზობაზე უარესია და მამაპაპური ტერმინით მისი აღნიშვნა არ ივარგებს.

მაშ ასე: პროსტიტუცია ლათინური წარმომავლობის (prostitutio) ტერმინია და ქართულად შერცხვენას, შებლაღვას, ღირსების ფეხქვეშ გათევას ნიშნავს. არც ბოზობაა საამაყო და ღირსეული საქმე, მაგრამ ბოზი საკუთარ თავს არცხვენს, საკუთარ სახელსა და ღირსებას ბლაღავს მხოლოდ, მაგრამ ის, რასაც ჩვენი ტელევიზიების უმრავლესობა აკეთებს, ერის შერცხვენა, ეროვნული ღირსების ხელყოფა და იმ ღირებულებების შებლაღვაა, რითაც დღემდე მოვითვალისწინებთ თავი და რითაც ქართველებმა ვისხენიებით ჯერ კიდევ ამიტომაც, ბოზობას ვერ ვუნოდებ მათს საქმიანობას. მას სახელად პროსტიტუცია შეეფერება მხოლოდ...

ამ ნახევარი საუკუნის წინათ ტელევიზია იმედის ცხოველმყოფელი სხივივით შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში. მისი ეკრანიდან ცოდნისა და ზნეობის ნათელი ეფინებოდა მთელ საქართველოს. ტელევიზიას შემოჰქონდა ჩვენს ოჯახებში ფართო თვალსაწიერი, ინტერესთა მრავალფეროვნება, პოლიტიკური კულტურა. ტელევიზია ნერგავდა ფართო მასებში მუსიკალურ და თეატრალურ კულტურას, პატრიოტულ და ინტერნაციონალურ შეგნებას. ტელევიზია იყო ქართული სწორმეტყველების ნიმუში.

ახლა? ახლა ყველაფერი პირიქით არის. დღევანდელი ქართული ტელევიზიები, ირმა ინაშვილის თქმისა არ იყოს, „ოთხი არას“ პრინციპით მუშაობენ: „არა – სამშობლოს, არა – რწმენას, არა – ეროვნებას, არა – სქესს!“ ეს ყველაფერი კი კულტურასა და ზნეობაზე ხელისდასაცემია. ზნეობისა და კულტურის უარყოფა არის სწორედ პირნაპირი პროსტიტუცია.

სხვა, ნორმალური ქვეყნების ტელევიზიებს რომ ვუყურებ, მშურს პირდაპირ! რა ცოდნასა და ინფორმაციებს ავრქევენ, რა ზნეობასა და კულტურას ამკვიდრებენ, რა ეროვნული სულისკვეთებით არიან გამსჭვალულნი!

ჩვენ?
...მოდით ერთ-ერთი პოპულარული ტელეარხის ერთი ჩვეულებრივი დღის პროგრამას გადავხედოთ: 07.30. „დილა მშვიდობისა, საქართველო“. 10.00 სერიალი „სიყვარული მშვენიერია“, 11.00. სერიალი „იღუმალი ქალი“, 12.00. 15.00. 18.00. 20.00. 21.00. კურიერი. 12.30. შუა დღე, 15.30. კომედი შოუ. 17.00. სერიალი „ცრემლების გვირგვინი“, 20.05. სერიალი „ერთგულების ძალა“, 22.00. „პროფილი“, 23.30. ტოპ-გოგო, 01.00. მხატვრული ფილმი (ინგლისურ ენაზე, რა თქმა უნდა!).

ტელევიზიების შინაარსზე მსჯელობა ყოველგვარ აზრს მოკლებულია, რადგან ისინი ინკუბატორის წინილებით სავსეა ერთმანეთს. ისინი მხოლოდ სათაურებითა და პერსონაჟთა გვარ-სახელებით განსხვავდებიან, სიუჟეტები კი სტანდარტულია: მათი მხატვრული ინტრიგა ის არის, რომ ვერ გაურკვევიათ, ვინ ვისი შვილია, ვინ ვისგან არის ფეხმძიმედ, ვინ ვისი ცოლისა თუ ქმრის დათრევას აპირებს; ამის გარკვევა, ცხადია, უჭირათ, რადგან ვერ გაიგებ, ვინ ვის ყვარობს, ვის ვისთან აქვს სექსი. ერთადერთი, რაც აშკარაა, ის არის, რომ ამ სერიალებში ყველა-

ზე წესიერი, პატიოსანი, კეთილშობილი და უანგარო ადამიანები მამათმავლები, ანუ პედერასტები არიან და ფილმის ავტორები ყოველნაირად ცდილობენ, მაყურებლის თანაგრძნობა მათკენ მიმართონ.

როგორც ჩანს, ქართულ ტელევიზიაში გაბატონებული ტერმინები ტერმინები ტერმინები ერთობ ეფექტიანი საშუალებაა და პირველი შედეგებიც უკვე აშკარად ჩანს. ახლა ჩვენი დიასახლისების ერთ ნაწილს სერიალების გარდა სხვა სალაპარაკო აღარაფერი აქვს, წინა დღეს ნანახ სერიალებში განვითარებულ ამბებს არჩევენ ერთმანეთში სერიალიდან სერიალაკედ დარჩენილ მცირე დროში. ერთმა ჩემმა მეგობარმა ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას მოსწრებულად იხუმრა: ნახევარი საქართველო ბლანკოს ქვრივზე აღვარდვარებს ცრემლებს და თანამემამულე ოთარანთ ქვრივის ბედი სულაც არ ანაღვლებსო. ისიც გემახსოვრებათ, ჩვენი თანამემამულენი როგორ აგროვებდნენ თბილ

პროსტიტუცია პროფილსა და ანფასში

წინდება და თბილ ტანსაცმელს მაროი ჩი-მაროს პერსონაჟის დასახმარებლად. ტვინის გამორეცხვა სხვა კი არაფერია! გამორეცხვილი ტვინის პატრონი ადვილად შეეგუება (ან სულაც ვერ გაიგებს) საკუთარი მინა-წყლის უცხოტომელებზე გასხვისებასა და თავისი გვარ-ჯილაგის დაფინანსებასაც უპრობლემოდ მოახერხებს.

თანამემამულეთა ტვინის გამორეცხვისთვის გარჯა პროსტიტუციაა, აბა, რა ჯანდაბაა!

„დილა მშვიდობისა, საქართველო“ ტელეპროგრამის ერთობ იმედინი დასახელებაა. პროგრამის წამყვანები მართლაც სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდები არიან და, იქნებ, მათი ცქერა სასიამოვნოც კი იყოს, მაგრამ ამ ერთობ ხანგრძლივი პროგრამის შინაარსიდან საზოგადოებრიობისთვის სასარგებლო საგანმანათლებლო ან საინფორმაციო სიხლის მიღების იმედი ნუ გექნებათ. აქ ფრიად მხიარულად და ერთობ არაკვალიფიციურად მსჯელობენ ჯანმრთელობის, ჭამა-სმის, ოთახის ყვავილების მოვლის, მუსიკალური საესტრადო ჯგუფების საქმიანობის, სპორტის და ა. შ. საყოველთაოდ ცნობილ საკითხებზე და ვითომ შინაურული ატმოსფეროს ილუზიის შექმნის მიზნით ერთმანეთთან ისეთი უაზრო რეპლიკებით გადადიან ალავეთად, რომ სერიოზულ მაყურებელს, ალბათ, სირცხვილისგან ფერი შეეცვლება. მათ ქართულზე კი (მეტყველებას ვგულისხმობ!) მართლაც უხერხულია საჯაროდ საუბარი.

სადილობისა, ასე, პირველის ნახევარზე, გვარიანად ხანგრძლივი გადაცემა იწყება – „შუა დღე“, ზუსტად ისეთი, შუადღისას არა, მაგრამ საღამო ხანს რომ შეიკრიბებიან ხოლმე კარგად ჩადაქალბულ-ჩაძმაკაცებული მეზობლები. ასეთი შეხვედრები თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ ზუსტად ფონსა და გურჯაანში ქსენიასა თუ მაროს, სევასტისა თუ მიხოს რაში ინტერესებს, რაზე ჭუჭყუკებენ თბილისში ლიკა და თიკა ან დიტო და მიტო. რაიმე სასარგებლოს გამოიტანენ მათი საუბრებიდან თუ რა?

აი, „პროფილი“ კი...
ამაზე ღირს ორიოდ სიტყვის თქმა, რადგან ნახევარი საქართველო ეკრანზეა მიჯაჭვული, „პროფილი“ რომ იწყება, მაშინ.

რატომ ჰქვია „პროფილი“ ამ გადაცემას, ვერაფრით მივხვდი. მე მგონია, პირდაპირ ანფასში ვუცქერიო ხოლმე ამ ე. წ. შოუს წამყვანსაც და მის სტუმრებსაც. რას არ ნახავ ამ შოუს „პროფილში“ კაცი: ნაცოლარებსა და ქმარგაშვებულებს, მათ შორის მრავალცოლგამოცვლილ კაცებსა და ამავე პროფილის ქალებს (ქმარგამოცვლილი კაცები და ცოლგანაშვები ქალები არ ჩანან ჯერჯერობით), ყოფილ და ახლანდელ შეყვარებულებს, გაშვილებულებსა და გამშვილებულებს, დაკარგულებსა და ნაპოვნებს...

წამყვანი ერთობ გულისხმიერი და ყველას მოყვარულია. ძირისძირობამდე აინტერესებს თითოეული სტუმრის ცხოვრების წერილმანებიც კი: როდის და სად გაიცნო მომავალი მეუღლე, სიყვარული როგორ აუხსნა, როდის და სად აკოცა პირველად, ახლაც ისევე უყვარს თუ გადაუარა „სიყვარულის სახადმა“ და ა. შ. სტუმრებიც დაუზარებლად პასუხობენ, წინათ რომ სათაკილოდ მიიჩნეოდა ისეთ კითხვებზეც. ერთი-ორი მორცხვი სტუმარი თუ გამოერია და საჩოთირო კითხვას თავი აარიდა, სწორედ ისინი ჩანან ხოლმე პროფილში, თორემ დანარჩენები ანფასშია ყველა.

იმის თქმა კი არ მინდა, აქ ჩამოთვლილ კითხვათაგან რომელიმე არალეგიტიმურია. არა! ჭორიკებს ხშირად აინტერესებთ, ვინ ვის და როდის ხვდება, ვის რამდენი საყვარელი და ცოლი ჰყოლია, ვინ რა ფერის ნიფხავს ანიჭებს უპირატესობას. ამის შესახებ თუ ნაცნობ-მეგობრებს ჰკითხავს ვინმე, ამაში საგანგაშო რა უნ-

და იყოს, მაგრამ ამგვარი კითხვა-პასუხის ჩვენს გასაგონად გამოტანა და მისთვის პოპულარული არის ტელეეთერში დროის დათმობა რა მიზნის ემსახურება? ერთადერთს: ცივილიზაციის „ჩამორჩენილმა“ და „მოძველებული მენტალიტეტის“ მქონე ჩვენმა საზოგადოებმა უნდა ირწმუნოს, რომ ხუთი-ექვსი ქმრისა და ცოლის ან, უკეთეს შემთხვევაში, საყვარლის გამოცვლა არც კაცისთვის არის სათაკილო და არც ქალისთვის, პირიქით, ეს არის პოპულარობისა და წარმატების საწინდარი. ამ აზრის დამკვიდრება რითი არ არის პროსტიტუცია? პროსტიტუცია და ძალიანაც აშკარა!

ჩვენი პოპულარულ ტელეარხებზე დღემდე 5-6-ჯერ საინფორმაციო გადაცემები გადის. იქნებ, ეს გადაცემებია პროსტიტუციიდან შორს? არაფერი გეტკინოთ! იმ ტელეარხზე, რომელზეც ახლა ვლაპარაკობ, ცხრა წლის განმავლობაში ერთი მართალი სიტყვა არ თქმულა. ახლა, ე. წ. კო-აბიტაციის დროში, კი ამბობენ შიგადაშიგ სიმართლეს, მაგრამ ამ სიმართლეს ისეთი ნაცური სიცრუის კორიანტელს მოაყოლებენ ხოლმე ნაფიცი ნაცების პირით, რომ იმ სიმართლისგან მხოლოდ მკრთალი სილუეტი რჩება.

საინფორმაციო გადაცემების მთელი ინფორმაცია ის არის, რომ დღემდე ხუთჯერ ვისმენთ, რა თქვა სამკაცინამა პარტიის ლიდერმა პრეზერვატივის სარგებლიანობაზე და რა უპასუხა მას ოთხკაციანი პარტიის ბელადმა; როგორ ემუქრებიან ერთმანეთს დამატეხებული და გამარჯვებული პარტიების ლიდერები; როგორ იბრძობს თითოეული მათგანი ქვეყნის გადამრჩენის მისიას და როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს მარჩენალის ერთგულებაში. უყურებს და უსმენს ამას გულუბრყვილო და მიმდობი მაყურებელი და მისი ტვინი თანდათან უფრო და უფრო „სუფოვდება“.

შენი ქვეყნის ტელემაყურებლის, ანუ ქვეყნის მოქალაქეთა ტვინების გასუფთავებაზე ზრუნვა, თანაც მაღალი ანაზღაურების პირობებში, პროსტიტუცია არ არის? აბა, რა არის?
თორმეტის ნახევარზე დანყებულნი გადაცემა „ტოპ გოგო“ რაც იქნება, ამის მიხედვით ძნელი არ არის!

და ბოლოს, ღამის პირველ საათზე მხატვრული ფილმი, რა თქმა უნდა, ინგლისურ ენაზე და იგი, რაც უნდა ღირებულნი მხატვრული კინონაწარმოები იყოს, ქართველი მაყურებლისთვის არ არის გათვალისწინებული.

ყოველივე ამას შემფასებლურ ენაზე პროსტიტუცია ჰქვია, არა მარტო გვერდულად, არამედ პირდაპირაც.
მეორე პოპულარულ არხზეც ანალოგიური მდგომარეობაა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ საინფორმაციო სივრცეში ე. წ. კოაბიტაცია უფრო მეტად კოაბიტა-

ზურაბ სუსქირიძე

ციურ რეჟიმში მიმდინარეობს, მაგრამ ვერც ერთ არხზე ვერ გაიგებს, რა ხდება მსოფლიოში და რა კავშირი აქვს იმ მსოფლიო პროცესებთან საქართველოს.

სერიალებთან ერთად, ჩვენს ტელეარხებზე ტვინის გამორეცხვის ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებად იუმორისტული ტელეშოუები მიუჩნევიან და არცთუ უსაფუძვლოდ: „ღამის შოუ“, „დღის შოუ“, „კაცების შოუ“ (აქ კაცები რა შუაშია, ნეტავი?), „ვანოს შოუ“, „ოთარის შოუ“, „ნანუკას შოუ“ და ა. შ. ამ შოუებში აქა-იქ შეიძლება იუმორიც გამოჩნდეს, რომელიც მეტწილად წარსულში ცნობილი ანეკდოტების გამოვლენაა, მაგრამ ყველა ამ შოუს იუმორთან ისეთივე კავშირი აქვს, როგორც ბებიამე ოღლა არევაძეს იაპონიის იმპერატორის სამეფო დინასტიასთან.

გენიალური ქართული იუმორის (რომელი კუთხისაც უნდა იყოს!) პატრონებს ამ „კომედიურ სისულელებზე“ რომ არ გაეცინებოდათ, იცოდნენ ამ შოუს პატრონებმა და გადაწყვიტეს „სიცილი ეს-ნავლებინათ“ ჩვენთვის. ამ მიზნით ჩვენი „კომედიანტების“ უკბლო, უცხვირო და უტვინო „დადავს“ ისეთი სიცილ-ხარხარის ფონოგრამები მოაყოლეს, რომ ჭალები ზანზარებენ ჭერზე. იცინა ამ დედაგანათლებულებმა და მამაცხონებულებმა, რომ სიცილი გადამდებია, მით უფრო, გადამდები, თუ იგი მასობრივია. ისიც იცინა, იმ მოზარდებისა და ახალგაზრდების ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იუმორის გრძნობა ადვილად შეიძლება მრუდე ან სულაც უაზრო გზით ნაიყვანო. ამას ნაწილობრივ მიადნის კიდევ. ნორმალური ჭკუისა და გრძნობის კაცს გაუკვირდება, მაგრამ ფაქტია, რომ ზღვარდაუდებელი სისულელისა და „გოიმობის“ ქრესტომათიული მაგალითის „შუა ქალაქის“ მაყურებელს ფონოგრაფიულ სიცილ-ხარხართან ერთად თვითონაც ეცინება. „კაცების შოუში“ ხომ ფონოგრამაც არ არის საჭირო. თავიანთ პიტალო სისულელებზე „თვითიუმორისტებს“ (ჩემი ტერმინია!) ისეთი ხარხარი აუტყდებათ ხოლმე, რომ მათი საცოდაობით ცრემლი მოადგება გულჩვილ კაცს. „ფარული კამერა“ ხომ სამართლებრივ ზღვარსაც გადადის: წესიერ საზოგადოებაში მის მონაწილეებს ან ცხირ-პირს გაუფრთიანებდნენ, ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ასცდებოდათ.

და ბოლოს, დიდი გულისტკივილით უნდა შეგჩერდე პროსტიტუციის ყველაზე აღმამფთოთებელ ფაქტზე, რომელსაც, სამწუხაროდ, ათიათასობით უნებლიე მხარდამჭერი და ტაშისდამკვრელი ჰყავს. საქმე ეხება „ჯეოსტარს“, „საქართველოს ვარსკვლავს“, „ბრაფოს“, „ახალ ხმას“, „ახალ საბავშვო ხმას“, „მაგთიფანს“ და კიდევ სხვა მუსიკალურ კონკურსებს, რომლებიც თითქმის უწყვეტად გადაიცემა ჩვენს ტელევიზიაში. მთელ ამ მრავალრიცხოვან მუსიკალურ პროექტებში წლების განმავლობაში ბევრთა დღევანდელი ქართული სიმღერა და ახლა იგი, ფაქტობრივად, აკრძალულია; ვინმე თუ შემთხვევით ქართულად იმღერა, კონკურსიდან გავარდნა არ ასცდება.

რა ხდება? ქართული საესტრადო სიმღერები აღარ გვაქვს? თუ ასეა, ჩვენი კომპოზიტორები ვირებს კოდავენ თუ რას აკეთებენ? ანდა მთელი მსოფლიო ესტრადა ინგლისურენოვანია? ნუთუ ინგლისური მართლა მშობლიურ ენად იქცა საქართველოში? არა, არ ქცეულა! ტელევიზიების გარდა ინგლისურად თითქმის არსად მღერია, არც ლხინსა და ქიფში, არც ზეიმებსა და დღეობებზე.

ეს სატელევიზიო მუსიკალური კონკურსები ჩვეულებრივი პროსტიტუციაა, რომელიც ჩვენი ეროვნული კულტურისა და მენტალიტეტის გადაგვარებისკენ არის მიმართული.

დროზე თუ არ გამოვფხიზლდით, ჩვენი ლიბერალისტები (ლიბერტიანელები!) მალე დაგვამხობენ თავზე ღირებულებათა იმ სისტემას, რომლისადმი ერთგულებამაც გამოატარა ქართველი ერი ქართველების სამიათწლიან განთავსებას, და გვიანდლუმებს კი არა, დედაქალაქის ცენტრში პედერასტების ძველებსაც დაგვიდგამენ.

აი, მერე კი, სოდომ-გომორის ცოდვისთვის ღვთის სასჯელი არც ერთს არ აგვეცდება და ღირსნიც ვიქნებით! ■

გია ბარამიძის ხუთი წლით აღრე სკოლნია ზურაბ ჟვანიას სიკვდილი...

ჯეიმალ დავლიანიძე

უკრაინაში მორიგი რევოლუციის დღეებში უსახელო დირიჟორის მიერ მივლინებულმა სააკაშვილმა, ბარამიძემ და მათმა სამომ უცხად გადამტყორცნეს ნარსულში. კერძოდ, გადავფურცლეთ 2001 წლის გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პირველი ნომერი და ჩემივე დანერვილი, მართლაც საოცრება ნავიკითხე ზურაბ ჟვანიას მკვლელობის შესახებ.

ახლა, ამ წამს გახლავთ 2013 წლის 9 დეკემბერი – ზურაბ ჟვანიას დაბადების დღე და ნალვლიანად დავცქერი ჩემს მიერ 2001 წელს დანერვილ სტრიქონებს:

„დულს და გადმოდულს პარლამენტის სალომე ქვაბი და უცხად გაისმის: – ჩვენს მეგობარს, ჩვენს თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ ჟვანიას მოკლავენ მყისვე, როგორც კი დეკემბრის 20-22 რიცხვი დადგება!“

ვინ დაიძახა, ბატონებო, ამგვარი რამ? ვითომ წინასწარმეტყველებაა თუ ბატონი პარლამენტარის – გია ბარამიძის მკითხაობა?

თითქმის მთელი კაცობრიობა შეიძრა და ტყვიის გავარდნის მოლოდინში გაითანგა: ჟვანიას უნდა მოკლან! ჟვანია უნდა მოკლან! ჟვანიას მოკლავენ! ჟვანია იმ ქვეყნის გზას უნდა გაუყენონ (მკითხველი უკვე განცვიფრდა, რადგან ყოველივე ის, რასაც ახლა ეცნობა, ჟვანიას მოკვლამდე რამდენიმე წლით ადრეა დანერვილი ჩემს მიერ და გამოქვეყნებულია გაზეთ „ლიტერატურული საქართველოში“ 2001 წლის პირველ ნომერში, იანვრის თვეში!).

აქ აღვირი უნდა მოვსწიოთ! უნდა შევჩერდეთ, რადგან გია ბარამიძეს თუ მოვუსმენთ, თავდაჯერებით გვეტყვის:

– ვითარცა ილიას, ისე სურთ გაუსწორდნენ ზურაბ ჟვანიას! ამ აქტს მისი მტრები დაამთხვევენ 22 დეკემბერს.

რა მოხდა, მეგობრებო, 22 დეკემბერს?

მიმიხვდით? დიახ! ბატონი სტალინის დაბადების დღე ხომ არ გახლავთ? რა მნიშვნელობა აქვს 21 იქნება თუ 22 დეკემბერი?

და იკვირავთ ვილაცამ:

– ზურაბ ჟვანიას ფიზიკურ განადგურებას დაამთხვევენ ზვიად გამსახურდიას მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო გადატრიალების დაწყების თარიღს – 22 დეკემბერს (მაშინ არც მიფიქრია, რომ 21 დეკემბერი იუსტიციის მინისტრის და შემდგომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეცაა!).

მაინც, რა ხდება, ვეფო?

ბატონი ზურაბ ჟვანია წამებულთა რიგში ხომ არ ჩააყენეს? (ისე აგვიხდა ყველაფერი კარგი, როგორც ჩემი სიტყვები ახდა სულ რამდენიმე წელიწადში, ოღონდ, არა დეკემბერში, არამედ თებერვალში, და მაინც ზამთარში!)...

და მოსდეს ქვეყნიერებას: ჟვანიას მოკვლას უპირებენო!

შეგიძლიათ, გაისივრძევიანოთ ყოველივე? შეგიძლიათ, ნახოთ პანთეონი, საბოლოო ნავსაყუდელი მსხვერპლისა? (ბატონებო, მე მზარავს 12 წლის წინ ჩემივე დანერვილი, რადგან ყოველივე თითქმის აღსრულდა!).

თუ შესძელით ამის წარმოდგენა, როგორ ხასიათზე დადექით, ვეფო?

ახლა მოვიშორეთ ცრემლი და ვიკითხოთ:

– მაინც, რისთვის შეიძლება მოკლან ჟვანია? (სინამდვილეში, ჯვარი ეწეროს ბატონ ზურაბს. ქრისტიანები ვართ და სულაც არ გავკვებარდება მისი სიცოცხლე ხელშეწყობა!)

გია ბარამიძე კი უსასრულოდ იმეორებდა: ჩემს მეგობარს, ბატონ ზურაბს განადგურებას უპირებენო!

მაშასადამე, გია ბარამიძემ კიდევ გაიგო! კიდევ აღშფოთდა! კიდევ გამოვიდა ტრიბუნაზე და დაიძახა: ისეთი ატმოსფეროა ირგვლივ, წინამძღოლს უთუოდ მოგვიკლავენო!

ჰკითხვხ: საიდან იცით?

აღმოჩნდა, რომ ყოველივე იუსტიციის მინისტრის მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი უწყებიდან, კერძოდ – სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტიდან მოდიოდა. იქ თურმე იღვწის პატრიოტი, გვარად მსხვილიძე და თურმე მან მოიძია ეს ამბავი, რაც დაადასტურა



რა სახელმწიფო დაცვის მაშინდელმა უფროსმაც! (მაშინ, ბატონებო, 2001 წელს, პრეზიდენტად შევარდნაძეა, იუსტიციის მინისტრად მიხეილ სააკაშვილია, სასჯელთა აღსრულების უფროსად მსხვილიძეა და სახელმწიფო დაცვის უფროსად პაპაშვილია! როცა 2005 წელს ზურაბ ჟვანია მართლაც მოჰკლეს, ვინმე დაინტერესდა ჯერ კიდევ 2000 წელს გია ბარამიძის მიერ ატეხილი ხმაურით? ხმა ამოიღო ევრო-ამერიკამ? რა გამოიძიეს? და, თუ გამოიძიეს, ეს ზემოთ ჩამოთვლილი „წინასწარმეტყველები“, ვინმემ დაჰკითხა? ანდა, სად გააქრეს იმ ბინის პატრონი, სადაც ჟვანია და აზერბაიჯანელი ნახეს მოკლულები? კარგად მახსოვს, მხოლოდ ერთხელ გაელვებული ტელეკადრი, სადაც ბინის პატრონი ხელმეფს ასავსავებდა – ეს გაზის ლუმელი ამ დღეებში არ იყო, როდის მოასწრეს უჩემოდ ჩადგამა?).

მახლას, მთავარი გაიგეს, რომ უნდა მოეკლათ ჟვანია, ოღონდ რისთვის და რა იარაღით, ვერ გარკვეის!

არადა, გია ბარამიძემ 2000 წლის 15 დეკემბერს განაცხადა: უკვე გამოიკვეთა საგარეო თავდასხმელი, უკვე ვიცით, ვინ ამზადებს ტერორისტულ აქტს, ძირითადად საშინაოებამ გადაიარაო!

იყვირეს! ქვეყანა შეძრეს! თუმცა მალევე გადაუვლია ღრუბელს! გაქრა თავდასხმაც, ტერორისტული აქტიც და მისი ავტორიც.

ამჟამად 2013 წელია. მაგონდება 2005 წლის თებერვლის ამბები, როცა ზურაბ ჟვანია გაზით მონამლული იპოვ-



ნეს თბილისის ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში. გაიგუდა გაზის ნარჩენით, – ასეთი იყო საგამოძიებო სტრუქტურების ანუ სამთავრობო ვერსია, რომელიც მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა „გააჟღერა“! მოკვლეული მასალები, ფაქტები და ანალიზები ამერიკაშიც გაიგზავნა, მაგრამ პასუხი... ფაქტობრივად, დღესაც უცნობია!

საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებს ზურაბ ჟვანია და ასეთივე საეჭვო ექსპერტიზა ჩაატარეს!

რამდენიმე დღე გვამს არავინ მიაკარეს და ისე დაკრძალეს, წესიერად არც არავის დაუთვალეიერებია!

ზურაბ ჟვანიას სიკვდილმა ისევე უცნაურად ჩაიარა, როგორც ამერიკული დაზვერვის მოსამსახურე ვუდროფის „შემთხვევითმა დაღუპვამ“.

რაც მთავარია და საინტერესო – ძეხორციელს აღარ გაახსენდა საქართველოს პარლამენტში გია ბარამიძის მიერ ატეხილი დავიდარაბა – ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტი მზადდება, უნდა მოკლანო!

ტოტალურად დაყრუვდა თითქმის ყველა უწყება!

კითხვა კი კითხვად რჩება და... ზურაბ ჟვანია – გარდაცვლილად, მაგრამ ასეა თუ ისე, მიზეზი ამ მკვლელობისა, ყველაზე ჩინებულად, ფაქტებიდან გამომდინარე, გია ბარამიძის მოხსენება! ის კი, დღეს უკრაინაშია უსაყვარლეს შეფთან, მიშა სააკაშვილთან ერთად და ამ ორმოცდაათმილიონიანი ქვეყნის ევროკავშირში „შეყვანას“ ცდილობს.

ვინ იცის, იქნებ ღმერთსაც ემუდარება, ნეტავ, არავის გაახსენდეს 2000 წლის დეკემბერში ჩემს მიერ ატეხილი ხმაურიო!

სამწუხაროდ, მისი გმირული მუშტის ქნევა, რაღა თქმა უნდა, ჩვენც გვახსოვს და უფრო კარგად ახსოვს ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, სადაც პრემიერის გარდაცვალების მიზეზების დასადგენად დიდი ექსპერტიზა ჩატარდა!

სადღეისოდ საქართველოს პროკურატურა აცხადებს, რომ თითქმის ბოლომდეა მიყვანილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიკვდილის საგამოძიებო სამუშაოები!

რჩება ერთადერთი კითხვა: კაცმა, რომელმაც ხუთი წლით ადრე იცოდა ზურაბ ჟვანიას მოკვლის ამბავი, ნუთუ ასე მშვიდად უნდა უცქიროს გამოძიების მსვლელობას?

და, პროკურატურამ ნუთუ არ უნდა გადახედოს 2000 წლის პარლამენტის სხდომის ჩანაწერებს, სადაც გია ბარამიძე ხმამაღლა „წინასწარმეტყველებს“ ზურაბ ჟვანიას მომავალ სიკვდილს?

P.S. ცხადია, იმ ძალას, რომელმაც მოკლა ზურაბ ჟვანია, ეს ტერორისტული აქტი უფრო ადრე ჰქონდა ჩაფიქრებული!

გია ბარამიძე როცა 2000 წელს აყვირდა – ჟვანიას აუცილებლად გამოასალმებენ ნუთისოფელსო, მაშინ საქართველოს შევარდნაძე განაგებდა! რასაკვირველია – ამ უბედურებასაც მას დააბრალდნენ და თვითონ ჩრდილში დარჩებოდნენ!

ასეა თუ ისე, ბოროტი განზრახვა სისრულეში ხუთი წლის შემდეგ, 2005 წლის 3 თებერვალს მოიყვანეს და ამის შესახებ იმდროინდელმა და ამდროინდელმა პარლამენტარმა გია ბარამიძემ კარგად იცის!

მართალია, დღეს, 2013 წელს, სააკაშვილ-ბარამიძე უკრაინას „ათავისუფლებენ“, მართალია, „ძალი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო“, მაგრამ... მარადიულად პირაქაფებულ, ნაც გია ბარამიძეს, რომელსაც სახელისუფლებო, სისხლიან ძალადობებში სდებენ ბრალს, „ორიოდე“ სიტყვის თქმა მოუწევს საგამოძიებო ორგანოში.

თვით საზოგადოებასაც აინტერესებს: საიდან, რატომ იცოდა გია ბარამიძემ, ზურაბ ჟვანიას რომ მოკლავდნენ და... იქნებ იმან ჩაიძინა ეს ავი საქმე, ვისაც 2000 წელს ხელი მოეცარა?

მინანერის მინანერი: რაც შეეხება ნაცმოძრაობის უკრაინაში „მოღვაწეობას“, ამ ოინაზობათა შესახებ ცალკე და შემდგომში მოგახსენებთ. ■

მწერალ ჯემალ მებრიშვილის იუმორი და სატანჯველი

ჭკუა თუ გამოვანება?

ერთ დანესებულებაში, სადაც მწერალს ხშირად უხდება ყოფნა, ერთხელ თანამშრომელი მანდილოსნების თანდასწრებით ერთ დაქმარშვილებულ ქალს ძალიან ფაქიზად გაეარშიყა.

ღმერთმა უწყის, ამ მშვენიერმა ახალგაზრდა ქალმა ეს მართლა ითაკილა თუ პირიქით, ესიამოვნა კიდეც, სწორედ ის რომ გამოარჩიეს და თავისი გამოსდომით ამის უფრო გახაზვა მოინდომა: უეცრად ტუჩები საყვარლად შეიბურცა და თავის გამაარშვილებელს ნარბების მორკალვით ნესტარით ატაკა.

– მწერალ კაცს მეტი ჭკუა არა გაქვთ?!
– ჭკუა რად მინდა, – სულელურად გაუცინა ჯ. მებრიშვილმაც, – სამაგიეროდ, ხომ ხედავთ, როგორი გემოვნება მქონია! მანდილოსნებს მონონების სიცილიკისკისი წასკდათ. სახეატრეცილიმა ქალმა კი „მოლაღატე“ თანამშრომლებს აღმფოთებული მზერა შეაკვსა და საცავის კარი გამომწვევად შეიბრაზუნა.

საველის მიზეზი

2003 წლის ხშირადრინანი ნოემბერია. პრეზიდენტ შევარდნაძის ჩამოსაგდებად მთავრობის სასახლესთან მიზღვავებულ მომიტინგეებს ყინულივით ცივი წვიმა დღედაღამ ისეთი გამწარებით უმხაპუნებს, თითქოს ღმერთს მათი დაშლის ბრძანება მიუციათ! მაგრამ თავგადაკლული მომიტინგეები ავდარს არ ეპუებიან და ცეცხლოვანი ცეკვით უმკლავდებიან!

ცეკვავს დიდი და პატარა! ქალი თუ კაცი! ცეკვავენ დღე და ღამე!!! ფართო საზოგადოებისთვის ბევრი სრულებით უცნობი პიროვნება ამ ცეკვებით გაიცნეს და დაიმახსოვრეს! ხოლო ერთი წარმოსადგეი ახალგაზრდა კაცი, ცეკვისას თავზე შამპანურის ცარიელ ბოთლს რომ იჩრებდა, ტელეოპერატორებმა ლამის ეროვნულ გმირად აქციეს!!! შე სანყალო, შენ კი იჯექი შენს ერთოთახიან ბრუნვულ სოროში და რაღაცები ჯღაბნე! ამ ქვეყანას ისე გამოესალმები, ვერც გაიგებენ, ვინ იყავი ან ამ სისულელეებს რისთვის ჩხაპნიდი!..

გამომცემლობა „ინტელექტი“ მიმავალ მწერალს შემთხვევით დიდი ხნის უნახავი თანაკურსელი მაცვალა ფხალაძე გადაეყარა. ქალმა აღფრთოვანებით შეუძახა:

– ჯემალ, შენც დადიხარ მიტინგზე?
– მე ცეკვა არ ვიცი და იქ რა ვაკეთო? – სევდიანად მიუგო მწერალმა.

ცივი პასუხი

დიღმის მასივში ცხოვრობს სიგარეტი-სა და არყისგან ხმაჩაბობებული ერთ-ერთი რეგიონული პოლიტაქტივისტი ტლანქი შინაბერა, რომელიც გამსახურდიას, შევარდნაძესა თუ სააკაშვილს რწმენის გამო კი არ ემხრობოდა, არამედ თავგასართობად – საქმეგამოლეულ მამალ ქალს სიამოვნებდა, მიტინგზე გასაგზავნ მასივლებს რომ შემოირტყამდა ხოლმე და მორჩილ ფარაზე სრულ ძალაუფლებიანობას ავლენდა!

ადრე რამდენჯერმე ჯ. მებრიშვილსაც დაუპირა ცომის უძარღვო გუნდასავით თავის ქეიფზე მიზულა, რათა მიტინგზე წასარეკ ჯგუფისთვის უპატრონო ცხვარივით გაეყოლებინა, მაგრამ იმედი რომ მოუცდა, ეს „სამშობლოს ღალატად“ ჩაუთვალა და თუ სადმე გადაეყრებოდა, გონჯად ემრიზებოდა..

ჰოდა, სწორედ 2003 წლის ნოემბრის ერთ დღეს პოლიტიკური ვნებათაღელვისგან გულმოცემული ეს თმაშეღებილი ქალი პურზე გამოსულ მწერალს მამასახლისივით გადაეღობა და ხმაჩაბობებით დაუსვა კითხვა, რომლის კილო თავისე-

ბურ საყვედურსა და ბრძანებასაც შეიცავდა.

– მიტინგზე დადიხარ?
– არა, ჯერ ცეკვის წრეზე დავდივარ! – ცივად ისე უპასუხა მწერალმა, არც გასჩერებია.

შეცბუნებულ აქტივისტს ისე ჩაეცინა, ეტყობა, ამას არ დაუეინყებდა.

ცინიკოსი თუ ისტორიკოსი

პირდაპირ გასაკვირია: ეს ხმაჩაბობებული აქტივისტი ქალი თითქოს ჯ. მებრიშვილის სათვალყუროდ მიუჩენიათ, ოთხიოდე დღის შემდეგ მწერალი დიღმის ტყეპარკის დიდებულ მუხნარში თავისთვის რომ დასეირნობდა და თან მომავალი მოთხრობის სიუჟეტს წნავდა, მოულოდნელად მის წინ როკაპივით ამოჩნდა და თავშეკავებული ნიშნებით ირონიულად ჩაუხრიდალა.

– რა ქენით, მწერალო, ცეკვა ვერ ისწავლეთ?

– ეჰ, ცეკვა კი ვისწავლე, მაგრამ თავზე ცარიელი შამპანურის ბოთლის გაჩერება ჯერ მიჭირს!

– სანამ თქვენ მაგასაც ისწავლით, მანამ ჩვენ შევარდნაძესაც ჩამოვაგდებთ!

– ჩამოგდება არც ისე ძნელია!.. მერე ვის უპირებთ დასმას?

– უჰ, ოღონდ ეგ თეთრი მელა თავიდან მოგვაშორებინა და მერე ვინც უნდა



იყოს!!!

– დარწმუნებული ხართ, არ ინანებთ?
– ღმერთო, როგორი ცინიკოსი ყოფილხართ!

– ცინიკოსი კი არა, ისტორიკოსი ვარ და ცოტა რამ მეც გამეგება, – ხმამოდაბლებით შენიშნა მწერალმა და გზა განაგრძო, ისევე მარტო რომ დარჩენილიყო.

ფილის ახსნა

ნოემბრის დღეებია, ოღონდ არა 2003, არამედ 2007 წლის! ჯერ ისედაც, ახლა კიდეც პერიფერიებიდან ჩამოსული მომიტინგეებით დაზღვაებული რუსთაველის პროსპექტი ამოსაფრქვევ ვულკანივით იმუქრება, რათა სააკაშვილის რეჟიმს ბოლო მოუღონ!

გამომცემლობა „ინტელექტიდან“ თავისი მომავალი წიგნის ანანკობის გამოსატანად მიმავალმა მწერალმა აიხედა და ბალანი აეშალა: ის დიღმელი თმაშეღებილი, შარვლიანი პოლიტაქტივისტი ქალი პირდაპირ მისკენ დამიზნებით მოალაჯუნებდა! უფრო ჩაგოდრებულიყო და ტლანქად ნაჩორკნი სახის ნაკეთებიც თვალში საცემად გაუხეებოდა.

– აბა, მწერალო, – რიხით შეუძახა და კოსტიუმის სახელოში უტიფრად ჩაეტანა, მიმართულება რომ შეეცვლევივინინა. თან ჭიანახავი ღოჯები მოურიდებ-

ლად გადმოუყარა, – ყველანი მიტინგზე – დღეს სააკაშვილი უნდა ჩამოვაგდოთ!!!
– რას მელაპარაკებით?! – მწერალმა სულ გაიბავშვა თავი, – მაგას რაღას უწუნებთ?

– ეს კაცი გადამრევს!.. თქვენ რა, ჭურში ზიხართ – ვერა ხედავთ, ქვეყანა დალუპა!

– კი მაგრამ, თქვენ ის ქალი არა ხართ, რომ გაიძახოდით: ოღონდ თეთრი მელა თავიდან მოგვაშორებინა და მერე ვინც უნდა იყოსო?! „ვინც უნდა“ კიდეც ეგე, ეგ არის!

პოლიტაქტივისტმა მწერალს ცივად შეუშვა ხელი და რეგენულად ჩაეცინა.

– იჰ, მამინ რა ვიცოდით!

– ჰოდა, საქმეც ეგ არის, რომ არ იცოდით! – მოუჭრა მწერალმა და იგრძნო, მოთმინების ფილა როგორ აუვსეს, – მაგრამ ეს თუჯისშუბლიანი და მკვახეტ-ვინიანი მოხალისეები როგორც კი იყნოსავთ რაღაცას, ნებისმიერი ლიდერის ირგვლივ ანგარების მიზნით ვერმახტის გრენადერებით მამაცურად შემჭიდროვდებით ხოლმე, ახლოს აღარავის იკარებთ და მართლა მცოდნე ხალხს ენას აკვნეტინებთ – ყველაფერი ჩვენ ვიცითო!!! ხოლო საქმეს რომ ჩააოხრებთ, მერე კუდს უკან დაგვდევთ და სისხლს გვიშრობთ – აბა, ჩქარა, ყველანი მიტინგზე – ეს უნდა გადმოვაგდოთ, ის უნდა გადავაგდოთ!.. ეგ სააკაშვილიც თქვენი აღზევებულია და ახლა გინდა გადააგდეთ, გინდა გადმოაგდეთ – მე თავი დამანებეთ, მე ჩემი საქმე მაქვს!.. და საერთოდ, აღარ



უმალ გააშიშვლა და შემართა. მწერლები სასურათედ შემჭიდროვდნენ. ჯ. მებრიშვილმა კოლეგებს გველნაკბენივით უგანა. ფოტოკორესპონდენტს ანეული აპარატი ჰაერში გაუშვდა.

– სადღა გაგვირბიხართ, კაცო, მოდი, ამოგვიდექი გვერდში – ერთად გადავილოთ სამახსოვრო სურათი!

– არ შემიძლია. – ძლივს ამოღერდა ქიზიყელმა.

ენაჩავარდნილმა მწერლებმა ერთმანეთს გაოგნებით გადახედ-გადმოხედეს.

– რატო, ბიჭო, რა მოგივიდა?

– ეჰ, სურათის გადაღება ადვილია, მაგრამ... – ტკეპნით დაიწყო ოზანანელმა, – მაგრამ... გაივლის წლები და მერე მაგ სურათს ვიღაც გამოაქვეყნებს!.. თქვენ თქვენი გვარებით იქნებით მითითებული, ჩემი გვარის ნაცვლად კი ეწერება „უცნობი“. ჰოდა, არ მინდა, სიბრაღულით დამწუნუნონ: ნეტავი ვინ იქნებოდა ეს უბედური, სადაც თავისი ადგილი არ იყო, იქ რას ეჩრებოდაო!

ყველას კრიჭა შეეკრა. ჯ. მებრიშვილმა ისევ თავისი გზა განაგრძო.

ქართულიდან ქართულად სათარგმნი

თავისუფლების მოედანზე მეტროდან ამოსულმა ჯ. მებრიშვილმა გეზი „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციისკენ აიღო. შემთხვევით შემხვედური მწერალი ელგუჯა ლებანიძე აღმფოთებას ვეღარ იკავებდა.

– კაცო, ერთი შენ მაინც გამაგებინე – ბოლო დროს ამ გურამ დოჩანაშვილმა რანაირად დაიწყო წერა?!.. შენ კითხულობ?

– თუნდაც ნაიკითხო, რას გავიგებ, ჯერ ვინმემ ქართულად თუ არ გადმოთარგმნა. – მშვიდად მიუგო ოზანანელმა.

სსნად-უხსნადობა

რუსთაველზე მდებარე ჯადოსნურ საკანცელარო მალაზიაში „ქოლორი“ ცამეტლარიანი ფრანგული იისფერი მელანი „WATERMAN“-ი იყიდა და გაჩერებისკენ გაემართა.

გაჩერებაზე ამას წინათ ერთ-ერთ პრეტენტაციაზე გაცნობილი ახალგაზრდა პროზაიკოსი გადაეყარა და გამოელაპარაკა. მალე დებიუტანტი მწერალი ჯ. მებრიშვილს მოკრძალებით შეეკითხა.

– ზაზა ბურჭულაძის „სსნადი კავკა“ ნაკითხული გაქვთ?

– კი.
– როგორია თქვენი აზრი?
– უხსნადი უნიჭობაა.

„კ“ და „ბ“

წერეთლის პროსპექტზე, „დინამოს“ სტადიონის პირდაპირ ჩარაზმულ ევროპული ნახმარი ტანსაცმლის ერთ-ერთ მაღაზიაში ცხრა ლარად მშვენიერი, ფაქიზად ნახმარი ინგლისური ტვიდის კოსტიუმი შეიძინა და სულმოსათქმელად ცოტა ხნით იქვე, ხეივანში შევიდა. შემთხვევით ნაცნობი მწერალი გამოჩნდა ▶▶

და გვერდით მიუჯდა. იმას კიდევ სამი ხაფანგი ეყიდა – თავებზე შეგვჭამესო! კოლეგამ ჯ. მეხრიშვილს შეგრაგნილი „მწერლის გაზეთი“ აუშვირა და აი, რა ჰკითხა. ოღონდ შემკითხველის კილოსა და გამომეტყველებას ნუ შევხებით – მხოლოდ კითხვის შინაარსით შემოვიფარგლოთ.

- დავით შემოქმედელის ლექსები ნაიკითხე?
- ეგ ვილაა?!
- როგორ, არ იცოდი?!.. პოეტ დავით ტაკიძის ფსევდონიმა!
- ქიზიყელი ნათქვამს ჩაუფიქრდა.
- რა ატარებს მაგივრად ფსევდონიმს – არ ემჯობინებოდა, თავისივე მოკლე გვარში
- ერთადერთი ასო „კ“ „ბ“-ეთი შეეცვალა?!

ქიზიყელის სანუხარი

ერთად მოხვედრილ მწერლებს რევან მიშველაძის თხზულებათა ოცდახუთომეულზე ჩამოუვარდათ ლაპარაკი – აგერ, უკვე მე-18 ტომიც გამოცაო.

აქამდე მდუმარედ მჯდომმა ჯ. მეხრიშვილმა ნუხილით ამოთქვა.

- ნეტავი სად უნდა იმოვოს იმდენი ფული?!
- კოლეგის უაზრო შენიშვნაზე მწერლებს გულიანად გაეცინათ.
- ნაშოვნიც ექნება, თორემ!.. შენ მაგაზე ნუ იდარდებ!.. რომ არ ჰქონოდა, აბა, ისე ვინ გამოუცემდა?! – მიაძახეს აქეთ-იქიდან.
- ეგ მეც ვიცი! – ქიზიყელმა შორს დაიჭირა მოძმეთა მსუბუქი კილვა, – მე სხვა რამ მაფიქრებს!
- რა?
- რევან მიშველაძეს აურაცხელი ნაცნობ-მეგობარი ეყოლება და ვისაც ოცდახუთომეულს აჩუქებს, თან ერთი ძვირფასი კარადაც თუ არ მიაყოლა, უხერხული იქნება!
- ააა!

ჯ. მეხრიშვილი – ორ-თოლოქსი მუსულმანი?

2010 წლის მაისია. რუსთაველზე მიმავალი თუ მომავალი, თავის პანანკინტელა შემოქმედებით საფიქრალში გადაკარგული ჯ. მეხრიშვილი მოულოდნელად ცნობილმა მწერალმა, თენგიზ ჩხაიძემ შეაჩერა. მან ახალნაყიდი „ლიტერატურული გაზეთი“ ზედ აკა მორჩილაძის ტექსტზე „ლეგენდარული ქემერა...“ გადაუშალა და თვალგაყრით ჰკითხა.

- როგორ უყურებ აკა მორჩილაძის ჟარგონულ ენას?
- როგორც ორთოდოქსი მუსულმანი ლორის ხორცს! – იყო პასუხი.

ყივრალური ანალოგია

ერთ-ერთ რედაქციაში მისული ერთი მწერლის აღშფოთებას საზღვარი აღარ უჩანდა: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, მაყვალა გონაშვილს ბოლო დროს კავშირში ჰაიპარად თურმე ორასამდე წევრი მიუღიაო!!!

- უჰ, დიდი ამბავი! – გულგრილად შენიშნა ჯ. მეხრიშვილმა, როგორც ისტორიკოსმა, - როქის სპისა და პირადი დაცვის შესაქმნელად დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში მომთაბარე ყივრალთა ორმოცი ათასი ოჯახი ჩამოასახლა და მომავალ არჩევნებშიც მხარდაჭერის საძრახისი ილუზიით ატანილმა უდრეკმა კარიერისტმა თავმჯდომარემ ერთი ორასამდე ერთგული წევრი წინასწარვე რომ შემოიგროვოს, რა გასაკვირია?!

ღონეთა ღონე

ორბელიანის მოედანზე ავტობუსიდან ჩამოსული, ეროვნული ბიბლიოთეკისკენ ამავალ ქუჩას ამოუდგა. ლადო გუდიაშვილის ძეგლთან ნაცნობი პოეტი ქალბატონი შემოხვდა – ამ დილაობაზე ისიც ბიბლიოთეკაში მომავლელად იყო. ერთმანეთი რომ მოიკითხეს, მანდილოსანმა გულმტკიცებულად დაიჩვილა.

- აბა, ეს არის ცხოვრება – რამდენი ხანია, ბავშვი ყურს იტკივებს და ექიმთან მისაყვანი ფული არ მაქვსავია!

- ადექი და შენ თვითონ უმკურნალე! – ურჩია ქიზიყელმა.

ქალი შეურაცხყო არა იმდენად როცო რჩევამ, რამდენადაც მრჩველის გულგრილმა კილომ! ამიტომ გაცემულმა ეს-ლა ამოთქვა.

- მერე, მე რა გამეგება მედიცინის?
- მაგას რა მნიშვნელობა აქვს, – იმავე კილოთი გაუგრძელა ჯ. მეხრიშვილმა – აგერ, ვაჟა ოთარაშვილსაც არაფერი გავეგება მხატვრული ლიტერატურის, მაგრამ იმისივე ჟურნალის რედაქტორია.
- პოეტსას მეტყველი ტუჩები მიმტევებლურმა ღიმინმა გაუნელა.
- აჰ, ოთარაშვილის დონისა რომ ვიყო, მართლა კი ვუმკურნალებდი!

სამგლეთის მკვლელები?

თხას უთხრეს: მგელი მამკვდარა, თხამ ნავარდი ქნა, გაიქცა! თხაო, ნუ გაგხარება, განა სამგლეთი დაიქცა?!

ხალხური

სალამოვდება. უცებ ჩამოვნა დეკემბრის ბინდი. მთელი დღე ეროვნულ ბიბლიოთეკაში ნამყოფი ჯ. მეხრიშვილი ქუჩაში რომ გამოვიდა, ტრაქტორივით მოგუგუ-

ნე გონება ისევ ფიროსმანისადმი მიძღვნილ წიგნს უტრიალებდა – წელან მიგნებული მხატვრული სახეები და სათხრობის წვრილმანების თანამიმდევრობა ერთმანეთში არ აჰბურდვოდა!..

ქაშუეთს რომ დაუახლოვდა, უცებ ზურგიდან ხმადაძაბული ქალის ისეთი მოუთმენელი, სულმეგუბებული, სასონარკვეთილი და გაღიზიანებული ძახება „ჯემალ!... ჯემალ!... ჯემალ-მააააა!“ ჩაესმინა, რომ სირცხვილისაგან სულ გაიწურა: ვილაცა თურმე დაუცადებელი ძახილითა და ბაკიბუკით მოსდევდა, მან კი, თავის ფიქრებში გადაკარგულმა, ახლალა გაიგონა!!!

ნაცნობი პოეტი, ტანმზატე ქალი მისკენ ისეთი კისრისტებით გამოიბოდა, მწერალი შიშმა აიტანა – არაფერი დაიმართოსო. ამიტომ თვითონაც მის შესაგებებლად გაეწრაფა. უკიდურესად ალგზნებულ-აფორიაქებულ, თანაც მაღალ ქუსლებზე შესკუპებულ ქალს ხიფათი მაინც არ ასცდა – უცებ ფეხი ფეხზე წაიკრა და ზედ მიმდგარ კოლეგას ხელი რომ არ შეეშველებინა, ცხვირ-პირით დაენარცხებოდა ან მუხლისთავეებს გადაიყვლეფდა. თუმც ხელმიშველებამაც მთლად ვერ იხსნა – მაინც წაიჩოქა და ასვალტს ცალი მუხლით მსუბუქად შეეხო.

მამრის ხელზე ჩამოგვინილ და ცალ მუხლზე ჩაჩოქილ ქალს ნამოდგომა არც უცდია: თვალები აუღლვარდა და გახეტყული მწერალს გადმოუცემელი აღფრთოვანებით მიახარა.

- გაიგე, დღეს მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომაზე ვაჟა ოთარაშვილი გამომცემლობის დირექტორობიდან მოუხსნიათ!!!

ჯ. მეხრიშვილს დაქანცულ სახეზე ნერვიც არ გასტოკებია.

- მერე, მაგით რა შეიცვლება?!. ეგ ხომ თვალეში ნაცრის შეყრაა!

მამრის მიერ ხელზე ხელმოჭერილი, ცალ მუხლზე ნამოჩოქილი მოკლექურთუკიანი მახარობელი სულ ჩაინაცრა. მერე წელმონყვეტილივით ძლივს აიხლაზნა, გასწორდა და ხელიც გაითავისუფლა. ორი უბედური შემოქმედი მართლა მძევალივით იდგა და ერთმანეთს მუნჯურად შესცქეროდნენ.

„რატომ არ გაუხარდა ამ კრეტიანს?!“ – ქალის გამომეტყველება ნაფიქრალს ვერ მალავდა.

„ნეტავი რა უხარია ამ სანყალს?!“ – გულში სადგისივით იტრიალებდა მეორე.

ფსიქიატრის საჭიროება

სექტემბრის დასალამოებულა... მთელი დღე ეროვნულ ბიბლიოთეკაში ტვინ-ნაჭყლეტი და მშიერ-მწყურვალი ჯ. მეხრიშვილი ქაშუეთის წინ მოთმინებით უცდის თავის ერთ-ერთ ავტობუსს. აჰა, ჩამოდგა კიდეც №46, მაგრამ იღბალი არ გინდა: თითქოს შორიდან ნათვალთვალევი ჰყოლოდეს, მოულოდნელად ერთმა ცნობილმა პოეტსამ თვალის ქორულად შემოატარა, განზე გაიყვანა და ისეთი განინმატებით დაუნყო ლაპარაკი, თითქოს რამეში დამნაშავე ეს ყოფილიყო!

- ნახე, პროზის ანთოლოგია, მაყვალა გონაშვილი იქაც რომ გამოჭიმულა?!

- კი... ვიცი... ვნახე.

- მერე?! – დააკვესა პოეტსამ, - რომელი პროზაიკოსი ეგ... ჩვენში დარჩეს და, ან ჯერ რა პოეტია, მაგრამ მეც პოეტი ვარ და ამიტომ ხმას არ ამოვიღებ! ჩუ!... ავია თუ კარგია, მაინც პოეტია, საზოგადოება პოეტად იცნობს!.. შვილები ერთ დღეს დამეხიციოს, მაგისთვის, როგორც პოეტისთვის რამე თუ შემშურდეს: რაც კი პრემიები და ჯილდოები გვაქვს, გინდ სულ ყველა ერთ დღეს მიუთვისებია – ალალი იყოს!.. თავისი იუბილეები და ლიტერატურული სალამოები მწერალთა კავშირს კი არა, თუგინდ გაეროს, იუნესკოს, ფიფას, აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციას, ევროსაბჭოს, უეფას, აფრიკის პროფკავშირთა ფედერაციას, ნობელის კომიტეტს, პენტაგონსა თუ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციასაც გაამართვინოს!.. რა გაცინებს?!.. თუ აღარ დაუშლია... (ახლა 20 ავტობუსიც მოვიდა და წავიდა!) თუგინდ აგერ, ილი-

ასა და აკაკის გვერდით ხვალვე დაიდგას თავისი ძეგლი!.. მაგრამ.. მაგრამ.. მაგრამ ხომ არსებობს რაღაც ზღვარი, არა – რომლის იქით გადაბიჯება უკვე... ნეტავი მწერლებს თვალეში როგორ უყურებს?! არა, მოფიქრება არ უნდოდა: პროზასთან მაინც რა აკავშირებს, რომელი პროზაიკოსი ეგა მაყვალა, რომ მართლა პროზაიკოსები ღობეს იქით მტარვალურად გადააყრევინა, თვითონ კი ოდესღაც გადაღებული ფოტოსურათით კისკერმოღრეცილ პერუელ მეკაუჩუკესავით პროზის ანთოლოგიაშიც წამოპოლორჭიკადა!!!

უკიდურესად შეურაცხყოფილ პოეტესას უცებ თვალეში მომაკვდავივით წაეხუჭა, მალე ისევ გაეხილა და ჯ. მეხრიშვილს ბეცურად შეაშტერდა.

- ასე რატომ იქცევა?
- მერე, მე რომელი ფსიქიატრი ვარ, მაგას რომ მეკითხები?!

ფურთხის დეფიციტი

ფურთხის ღირსი ხარ!..

აკაკი

ნაშუადღევს ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიმდებარე პარკში გადანაცვლებული ჯ. მეხრიშვილი ფიროსმანისადმი მიძღვნილი წიგნის ერთ-ერთი ახალი თავის არქიტექტონიკაზე ფიქრს შეუბოჭავს.

სწორედ ამ დროს ცერალმა შემომავალმა ერთმა მწერალმა კედრის ქვეშ მიყუჟული კოლეგა შორიდანვე რომ იცნო, გეზი იცვალა და მისკენ მოსამძიმრესავით გაემართა.

„ო, ღმერთო, ისევ ის სვეკრული პროზის ანთოლოგია!“ – გაივარაუდა ფიქრ-განყვეტილმა ოზაანელმა და გამოუმულაღვებელი აღშფოთება გულში ჭვალავით წააფრინდა. არც შემცდარა!

- როგორ უსინდისოდ დაგიკეტეს ანთოლოგიის კარი, –ახალმოსულმა თანაგრძნობით შენიშნა და მოლოკვით ლაპარაკი განაგრძო, – ბოლოს და ბოლოს, შენ და მაყვალა გონაშვილი ხომ მეზობელი სოფლებიდან ხართ – მამ, რატომ გიყო ასე, ჰა?

- რა ვიცი, აბა, – მიუგო ოზაანელმა და უნიროდ ნაამატა, – არც მე დავრჩები ვალში – კენჭს მეოთხედ რომ იყრის, ხმას არ მივცემ!

ახალმოსული გველნაკბენივით შეხტა.

- შენ რას ლაპარაკობ – მეოთხედ ვინ აირჩევს?!

- ჰმ, ჩვენ არც მესამედ გვინდოდა მაგათი არჩევა, მაგრამ, ხომ გახსოვს, რა ჩაიდიხეს!

- ჰო!.. კი, კი!.. შენ მართალი ხარ!.. ღმერთო, ნუთუ საშველი აღარ არის?!

- არის, როგორ არ არის!

- რა, კაცო, მეოთხედაც ავირჩიოთ?!

- მეოთხედაც კი არ უნდა ავირჩიოთ, არამედ რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორესავით მწერალთა კავშირის სამუდამო დედა-დედოფლად ვაკურთხოთ და ყველამ მოვისვენოთ!!!

- ოოო! მაშინ მწერალთა კავშირის სახლის იპოდრომზე გადატანა მოგვიხდება – ეკატერინე მეორეს თურმე ჰუსართა პოლკის ალღუმებისა და მანუშუცხენების **ჭყლეტის** ცქერა ჰყვარებია!!!

- არც ეგ გაუჭირდებათ – აჭიხინებულ საჯინიბოებთან მწერალთა კავშირის სახლის გადატანას რა უნდა?! თანაც, მე შენ გეტყვი, მეჯინიბოეთუხუცესსლა დალონდებიან თუ რა?!

- ვინა გყავს მხედველობაში?

- მაგას კითხვა უნდა?! – შეუხმამკვანა ჯ. მეხრიშვილმა, – არ იცი, ვისა აქვს მეჯინიბის სიფათი, გარეგნობა, გამომეტყველება, გაუმაძღრობა და გაუტანლობა?!

- ააა! ჰო, ჰო... მაჰატიე, უცებ ვერ მივხვდი!.. ღმერთო, იმპერატრიცების,

მეჯინიბეთუხუცესებისა და ქოსატყუილების ზეობა გვიდგას!.. არა, ამ დღეში მაინც როგორ ჩავიგდეთ თავი?! უუუ, ფურთხის ღირსი ხარ თქვენ ვინა მწერლები!!!

- ფურთხისო?! ჰმ!.. იმდენმა გაიხადა მისაფურთხებელი თავი, საჩვენო ფურთხის სადღაა – დღეს საქართველოს ფურთხის დეფიციტი აქვს!!!



ჩვენთან, ჩვენთან, ჩვენთან!

სახლი რუსთაველზე

60 წელს მიტანებული იყო თითოეული. ზოგი – ექიმი განათლებით, ზოგი – ქიმიკოსი, ზოგი – უსწავლელი, ზოგი – ნაფრონტალი, ნამილიციისუფროსალი, ნაემიგრანტალი...

მათ ყველა პატივს სცემდა, სიყვარულით ეკიდებოდა – მწერლები, მხატვრები, მსახიობები.

და არა მარტო ისინი... ოღონდ ზოგს შეეძლო ამის აშკარად გამოხატვა, ზოგს – არა. მაგალითად, პარტიული მუშაკი ან თანამდებობის პირი თავს ამის უფლებას ვერ მისცემდა.

ისინიც ისხდნენ ლაღად, თავისუფლად, მღეროდნენ, ხუმრობდნენ, ეკიდებოდნენ ნელ-ნელა ღვინო, მატულობდა ხალისი, სიკეთე, პატივისცემა, სადღეგრძელოები საქართველოზე, სიყვარულებზე, ძმობაზე, მაგრამ არამც და არამც აგრესია, კინკლაობა; ჩხუბზე და აურზაურზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ახლა იქ აღარავინ იკრიბება... ევროსაბჭოდან ჩამოსული სტუმრებისა და მათთან შეხვედრაზე მოსული ოპოზიციონერი პოლიტიკოსების გარდა.

„საპერაშკე“, ახლა რომ „თავისუფლების მეტრო“ ჰქვია, იმ ადგილზე გამწვარივებულ სხვადასხვაფერად აჭრელებული მალაზიების დასაწყისში იყო, ბნელ გვირაბში. ღვეზელი 5 კაპიკი ღირდა. ამაზე იაფი სსრკ-ში მხოლოდ ტრამვაის სამკაპიკიანი ბილეთი და ერთკაპიკიანი ასანთი იყო. ღვეზელს ჯიჯისგან ამზადებდნენ, თანაც ძალიან გემრიელს...

ვიდეოთ ჩვენ – ამ იაფფასიანი „საპერაშკეს“ ხშირი სტუმრები, სკოლის ნაცრისფერ ფორმებში გამონკეპილები, სუფთები, ქათქათები, ფართოდ გახელილი თვალებით ამ მილეთის ხალხში და შეგროვილი კაპიკებით ნაყიდ ღვეზელს შევექცვიოდით. მართალია, სტალინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ირგვლივ საოცარი ანტისანიტარია სუფევდა.


ერთხელაც ღვეზელი შემოგვაკლდა და უფრო დაკვირვებით მოვავლეთ თვალი ჭამით გართულ საზოგადოებას.

ჩვენს გვერდით საშუალო ხნის ბრგე მამაკაცი იდგა. ღვეზელის ფასით მოტყუებულს მეტი მოსვლოდა, წინ 8-10 ცალი ღვეზელი ედო ხელუხლებელი... გამძღარიყო. ჭამა აღარ შეეძლო. შიგადაშიგ აბოყინებდა კიდეც... აქაური არ უნდა ყოფილიყო, ჩამოსულს ჰგავდა... დიდ ხანს იცადა, დიდხანს ეჭიდავა თავის შესაძლებლობებს და როდესაც მიხვდა, რომ ეს ათიოდ ღვეზელი ოხრად რჩებოდა, აიღო და სათითაოდ შუაზე დახლიჩა... დააქუცმაცა...

თითქოს ხმაჯი კი მომესმა ღვეზელის გახევისა და იქიდან გადმოცენილი შიგნეულის ტყაპანისა ცარიელ თევზზე.

„პერაშკები“ გააოხრა, პირი რომ ვერავის დაეკარებინა და დამშვიდებული გაუდგა გზას.

მე ისევ რუსთაველს ჩავუყვები ჩემს დროსთან ერთად...



▶▶ გაგრძელება. დსაწყისი „ლს“ 69-73

იმელის პირდაპირ, ცეკავშირის მალაზიის წინ, ტროლეიბუსის გაჩერებასთან, ვხედავ გალაკტიონს, პორტფელით ხელში დაღლილი ნაბიჯით მოდის.

– გამარჯობა, ბატონო გალაკტიონ, – ვებედავ მისალმებას.

– გაგიმარჯოს. მპასუხობს და ხელს მინვდის. ვიბნევი მოულოდნელობისგან, სიხარულისგან, ხელის ჩამორთმევის ბედნიერებისგან. მიყურებს.

– სად მიდიხარ, ბიძიკო? – ისევ მოულოდნელი კითხვა.

– ლაღო გუდაშვილის იუბილეა, ოპერაში, იქ მივდივარ... – ცოტას ვტრიაბობ.

– იუბილე, იუბილე... – აქეთ-იქით იყურება. – ოპერაში... და მე არა? – მეტის გაგებას ვერ ვახერხებ, ლაპარაკით განაგრძობს გზას.

ცოტას კიდევ გაივლი და ლალიძის წყლებთან, სადაც დღეს ტანსაცმლის მალაზიაა, გოგლას დალანდავ, ლეონიძეს, პაპიროსს აბოლებს, ვილაცას ელაპარაკება, ბუხუნებს. გავავრძელებ, მოვყვები იმას, რაც მინახავს...

რუსთაველის თეატრიდან თეატრალური ინსტიტუტისკენ მიმე წავიდა. მიმავალი ხორავა გინახავს? იმავე თეატრის მსახიობთა გამოსასვლელიდან ჩქარი, თითქმის ისტერიული ნაბიჯით გამოშლინილებული სურგო ზაქარიაძე? იმავე თეატრის წინ ბორჯაბე მდგომი, დასალევად გამზადებული ეროსი, რამაზი, ჟორჯიკა საღარაძე?

სხვა ქალაქია, არა? სხვა სურნელი მოდის!

ცოტა ქვემოთ ჩაიწვიე და კაფე „თბილისში“, იქნებ, იმავე დღეს გადაწყვიტოთარ და თამაზ ჭილაძეებს, ზაურ ბოლქვაძეს, გურამ ასათიანს, აჩიკო სულაკაურს, ედიშერ ყიფიანს, ნოდარ დუმბაძეს, ჭაბუას... სტუმრად ჩამოსულ განუყოფელ ბელა ახმაღლიანს. მერე შეიძლება მხატვრებიც შემოვიდნენ რეზიკა თარხან-მოურავის მეთაურობით... შეიძლება ავთო ვარაზმაც შემოიაროს.

სალამოს პრემიერაზე ესენი ყველანი იქნებიან... სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძეც... სხვა სპექტაკლი იქნება, ალბათ, არა?

შეიძლება მეორე დღეს იმავე კაფეში, თუ ფული იმოვეს ან ჰონორარები დაარიგეს, ბიჭებიც ამოვიდნენ კინოსტუდიიდან – ანზორ სალუქვაძე, ოთარ იოსელიანი, რეზო ჭეიშვილი...

სხვა კამპანიაა, არა? ბავშვობის მოგონებები დამავიწყდა, ნიგნებით დახუნძლული სოსო გრიშაშვილი მუქი მწვანე შლაპით, ვახტანგ ჭაბუკიანის შავი „ზიმ“-ი ოპერის კუთხეში, სალამოს კი – თვითონ ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე „ოტელოს“ როლში.

დათიკო გამრეკელი და ზურიკო ანჯაფარიძე, დიდი თეატრის სოლისტები, თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულები და სასტუმრო „თბილისიდან“ – თეატრისკენ მიმავალი... იმავე რუსთაველის თეატრის წინ სხვადასხვა დროს მეგობრების მომლოდინე მისა მესხი და დათო ყიფიანი...

სხვა აზარტია, არა? სულ ცოტა ბიჭი სჭირდება ფანტაზიას და შეიძლება ელბაქიდის დაღმართზე ამომავალი მიხილ ჯავახიშვილიც წარმოიდგინო, თავის საყვარელ ჭადართან მდგარი ლაღო ასათიანიც და, რა ვიცი, „ორიენტი“ პაოლა და ტიციანი თავისი მიხაკით.

იმის უფლებას თუ მომცემ, რომ კიდევ უფრო უკან დავბრუნდებ, ნახე, რას გადავწყვიტებ:

„ერთხელ გოლოვინის პროსპექტზე ვიყავი, როცა უეცრად წვიმამ დაუშვა. პალტო არ მეცვა და ამიტომ ჩქარი ნაბიჯით გავწიე სასტუმროსაკენ. უკნიდან ხმა მომესმა: ბატონო აკაკი, შეიცადეთ! შევჩერდი, მივიხედე და ჩემთან მოიჭრა ქოლგით ხელში ვილაც თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა და

შემომთავაზა ქოლგა: გამომართვით ქოლგა და მერე მიბოძეთ!

– მერე თქვენ?

– მე არა მიჭირს-რა, რომ დავსველდე და თქვენ ვაი თუ განყინოთ. რომ აღარ მომეშვა, გადაწყვიტეთ ორივენი ამ ქოლგას შევფარებოდით და ისე მივსულიყავით ჩემს სადგურამდე. სასტუმროს კარებთან გამოეთხოვა და თავის ქოლგაინად გაუდგა გზას. დღესაც არ ვიცი, ვინ იყო, რა ერქვა და რა გვარისა იყო, მაგრამ მისი უმანკო სახე – წმინდა სახე კი, ყოველთვის თვალწინ მიდგას და მჯერა, რომ ის გოგონაც იმ ქართველ ქალთა მოდგმისა იყო, რომლებმაც გადაარჩინეს ჩვენი პატარა ქვეყანა.“

გული აგიძვრდა, არა? მეც!

ჰო, ეს აკაკია... აკაკი. ახლა მითხარი, ვინ უფრო გენატრება, აკაკი თუ ეს უსახელო, 13-14 წლის გოგონა „სასე ქართული პატიოსნებით“.

თუ მე-18-ე საუკუნემდეც მიმიშვებ, ნახე, როგორ მოიჩქარის ყველა თბილისს. რა ოცნებებითა და ენერჯით არის ეს ქალაქი დადენილი. აბა, დავით გურამიშვილს მოუსმინე:

„ერთმან იხუმრა: ვიბანებ თიფლის აბანოს წურითა,

მეორემ – თევზით გავძლები ზურგიელ გელაქურითა,

მესამემ – მივიბრუყები ღვინითა ატენურითა,

მეოთხემ – კიდევ დავგვოკენ საბლითა მამანურითა!

ან – ვახტანგ VI-ს:

„რა სჯობს მაისში ტფილისსა ვარდი კარსკლავებზე ესხასა!

მწვანედ ღელავდეს ვარემო, ცვარი ცის მაზედ ესხასა,

თუ არ უშმაგო, ვინცა ქნას, მაზედა რითმე ესხასა?

მე ასე მითქვამს, უთუოდ ის კაცი იყოს, ეს ხასა.“

მაგრამ მოვეშვათ, ნანახს დაფუბრუნდეთ!

ოპერასა და რუსთაველს შუა კულტურის სამინისტროა, იქ შესულს ან გამოსულს აუცილებლად ნაანწყებები რეზო ლალიძეს, ვერიკოს, სესილიას, მედიკო ჯაფარიძეს...

სხვა სილამაზეა, არა? სხვა ქალაქია, არა? სხვა ფასი, სხვა ნონა, სხვა ფერი აქვს...

ჰო, გვარის, თბილისია! ჩემი თბილისი! ახლა ვის გაიარე რუსთაველზე და მერე მიაბზე, ვინ გადაწყვიტა. მე დაგელოდები...

ამას წინათ, ერთ ძველ გამონათქვამს მოვკარი ყური – მკვლეელი ადრე თუ გვიან აუცილებლად მიდის დანაშაულის ადგილზე.

ნეტავ, რა ძალა აქვს დანაშაულს, რატომ ექაჩება თავისკენ დანაშავეს? არ ვიცი...

მე თვითონ დიდი დრო დამჭირდა იმის მისახვედრად, რატომ აღარ გამიხედავს იქით – თეატრალური ინსტიტუტი, რუსთაველის თეატრი, კინოსტუდია, ტელევიზია, თუნდაც რუსთაველის გამზირი – საითკენაც დანაშაული კი არა, სიყვარული უნდა მექაჩებოდეს?

სიყვარული დამხვედება აუცილებლად და იმიტომ...


სიყვარული ადამიანებზეა მიბმული: როცა ისინი მიდიან, ისიც ქრება. რჩება სიცარილე... არა, სიყვარული სადაც გქონდა, იქ დაბრუნება ნამდვილად არ ღირს!

რუსთაველიც დაცარიელდა ჩემთვის. დარჩა შენობების ათასგზის შეცვლილი ფასადები, ახალ-ახალი განათება, მოშრილ ქადრების ადგილას უცხო, თითქოს ხელოვნური მცენარეები...

აუცილებლობის შემთხვევაში გულგრილად ჩავუქროლებ ხოლმე მანქანით საკუთარ წარსულს – ჩემი დარდითა და ჩემი სიყვარულით სავსეს...

P.S. XX საუკუნის ბოლოს კი ამ ჩემს ფეხშიშველა ნატანტალებს პროსპექტზე ისეთი ომები ატყდა, რომ...

პირველმა – 9 აპრილისამ – სსრკ შეაჯანჯღარა, მეორემ – თბილისის ომად ნოდებულმა – საქართველო ჯერ შეარყია და მერე შუაზე გახლიჩა.



გოგი ხარაბაძე

9 აპრილს, სანამ საბჭოთა ჯარისკაცებმა ნიჩბები ცხვირწინ არ ამითამაშეს და ბეტერმა ფეხზე არ გადაამიარა, ჩემს შვილებთან და მეგობართან – იურა როსტთან – ერთად იქ ვიდექი...

თბილისის ომის დროს იქამდე მივედი, სადამდეც უიარაღო კაცს მიხვლებოდა – ტყვეების ზუზუნამდე. სხვაგან არხვინად ყოფნა არ შემეძლო, გული მეკუმშებოდა.

„ახალი წელი იყო. მიმე და სასტიკი წელი, ტყვეა-ნამლის კვამლში იყო გახვეული ქურჩა რუსთაველისა. კადრში იდგა ქვემეხი. მექვემეხენი ახალი წლის შემობრძანებას ლოცავდნენ ძმათამკვლელი ომის შესვენებაზე და მღეროდნენ კიდეც: „შაური შენ, შაური მე, შაური მამაშენს“.

... გაიარე და შემომხედე. მაღალი, სერიოზული და გაფითრებული დაგინახე. უკვე სისხლბორცვეულად მონანილებოდა სხვის ომში. აქედან ვეღარ გამოხვიდოდი, მიხვდები იმწამიერ და მიგამსგავსე ვიტორიო დე სიკას, გენერლის სანაცვლოდ რომ გავიდა ემაფოტზე. ეს იქნებოდა შენი დიდად ტრაგიკული და ლამაზი (ღმერთმა დაგვიფარა) როლი, რომელიც იქვე, რუსთაველზე შეიძლებოდა შემდგარიყო...“

ასეთებად აღგვიქვა მე და ისტორიის ფურცელი, რომელიც 92 წლის იანვარში რუსთაველზე დაიწერა, შესანიშნავმა მწერალმა რეზო ჭეიშვილმა.

ყველა შორიდან დამნახველი და მონანილე იმ ამბებისა თავისას იტყვის, თავისას დაწერს. ჩემი სათქმელი ერთია: სახლში ვერ გამოვიკეტებოდი, როცა რუსთაველს ცეცხლი ეკიდა...

ეგრეთ ნოდებულო „ვარდების“ რევოლუციაც თითქმის რუსთაველის გამზირზე მოხდა. მე არც ფიზიკურად, არც მორალურად მზად არ ვახლდით ამ მოვლენებისთვის. შორიდან ვადევნებდი თვალს, რა ხდებოდა, გული მაშინაც მეწვოდა... მათეს სახარებას მოვიშველიებ მეტი სიცხადისთვის: პილატემ „აიღო წყალი, ხელში დაიბანა ხალხის წინაშე და თქვა: „უბრალო ვარ ამ მართლის სისხლისაგან, თქვენ იცით.“

მთელმა ხალხმა მიუგო პასუხად: „ჩვენზე და ჩვენს კვილებზე იყოს მაგის სისხლი.“

ახლა კი ჯერი მათზეა, ვინც გაამთლიანებს და ჩამოვარცხნის ამ ყალყზე შემდგარ, გაძვალტყავებულ ქვეყანას, ჩვენი სამშობლო – საქართველო რომ ჰქვია...

ყველას თავისი თბილისი ჰყავს-მეთქი, ასე ვინც ჩემს თბილისსა და რუსთაველზე თხრობას. ამ ფორფიტაზეც თავიანთ თბილისს უმღერიან დიდი პოეტები...

ზოგ მათგანს საღმთო ვიცნობდი, ზოგთან ძმობა, მეგობრობა მაკავშირებდა, ზოგიც – საუკუნეები რომ მამორებს – ჩემს განუყრელ თანამგზავრად, ჩემს ნაწილად მიქცევია. როცა ისინი მომენატრებინან, მათ ლექსს მივაკითხავ, ვკითხულობ, ხშირად ხმამაღლა, სხვის გასაგონად. ახლაც ასე მოვიქცევი...

მარტო არ ვყოფილვარ ამ საქმეში. თაობათა გადაახილი გამოვიდა...

მხარში მედგა ჩემი უფროსი მეგობარი, ნოდარ მამისაშვილი – კომპოზიტორი, მეცნიერი, მოაზროვნე, ახალი ქართული ზარის ამხმინებელი – თავისი ბეგითა და ესთეტიკით და შესანიშნავი ახალგაზრდა მხატვარი, ასევე ჩემი მეგობარი, ოღონდ უმცროსი, კოტე ჯაფარიძე, რომელმაც ჩემი სამყარო თავისებურად, თავისი დროის სახეებითა და ფერებით ჩახატა.

ჩინი

მე ჩინში ვცხოვრობ. ჩემთან ახლა ძველი თოვლია ცოტა და მთვარე – ჩამომხრჩვალ კაცის პროფილით. სხვას რას დავეძებ – ჩემი თავი ვერ მიპოვნია, ქუჩის ძაღლივით ნაცემი და უარყოფილი...

მოჭრილ ქადართან ჩუმად ვდგავარ. მტკიცა ფესვები. სავეს ურნიდან მიწისფერი კატა ამოდის. კედელზე ქალი მიუხატავს, მნიფე ნესვებით, გამოქვაბულში მონადირეს, როგორც მამონტი.

მარცხნივ, კიბესთან, ერთადერთი ლამპიონია, ზაფხულში ეგლა ახალისებს საწყალ ფარვანებს. მეზობელ ყასაბს თავის ხელით ყოველ... (ქონიან) ქოშინით ააქვს ცოლ-შვილისთვის ხორცი; შარვალი –

(ყოველდღე ისიც) იმ მეორე ხელით უჭირავს. მე, რა ხანია, საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი. როგორმე (ვნატრობ) თვალი ისე მომახუჭვინა, შეშლილივით არ წამომადგოს სულის შეხუთვამ.

მე ჩინში ვცხოვრობ, ან – პირიქით... პირიც მიქნია ზოგჯერ ქვისკენ და ზოგჯერ ჩემს გზებს ჯვრებად ვსახავდი. გზაჯვარედინზე დგომა ჩემთვის ფუჭი ფიქრია – ბოლოს მივხვდი და მოვალნიე კიდევ სახლამდე.

მე ჩინში ვცხოვრობ.

● რადიკულიტის, იშემიის ნიშნებით მე ვარ ყველაზე პერსპექტიული მომავლადი. სიკვდილ-სიცოცხლის ყველა ზღვარი იშლება და ერთადერთი შენი ხელია, რომ მაკავებს ზოგჯერ მინაზე... სული მიაგავს ფიქალს – ამ დროს – მინაში ღრმად ჩარჩენილი ცალი ფარფლით. აქ არ გინდა და (სასაცილოა!) იქ არ – იქ ვის უნდისხარ, სულ ლექსადაც რომ ჩაიფერფლო?! და ინსტინქტურად შენი ბავშვობის ბოგირს გადარბიხარ და დამჭკნარი ხელი გეფერება დედის. და თავი შეეჩვიო ლოგინს...

და, ველარ ვხედავ, ბიჭო, მართლა თუ ეს ფერები გაუფერმკრთალდა (არ მომატყუო!) ამ ცას?! (თურმე ნაღველი ხმას წლებთან ერთად ემატება...) და ამ ცრემლებმა რამდენჯერ უნდა გამცეს. და იცი: დედას ჩემზე მეტადაც ედარდები მგონი... და, თუკი უნდა დასრულდეს ბოლოს ეს ჩემი შენით, ეს შენი ჩემით „გატაცება“, სხვებმა იმღერონ ჩემი სულყველა სოლო. მე – მაპატიე. გვეშლება ხოლმე რალაცები.

ოპკი

გიო არაბულს

ჩვენი კოჭლი ბერიკაცი მომენატრა, ძამულია, ალბათ, ყინვა უცახცახებს ჩამორღვეულ ბეჭებს. ტაოს კარში, ეს ოხერი, თითქოს ჯაჭვით დაბმულია – ქარი წივის, ქარი ყმუის, ქარი ძვალ-რბილს ლეჭავს.

ცაა უფრო ღრუბლიანი. მხოლოდ შუბლი უბრიალებს. ისე ცივად უბრიალებს... დეკემბრის მზე ჩადის. ახლა რა დროს მუშლი არი?... რა დროს ძმებთან შუღლი არი?! წმინდა სახეს (შუბლიანად!) აგვიფარეს ჩადრი.

გუმბათიდან განაპირა კრამიტს ფეხი დასცდენია, რაც მანდ წვეთი ჩამოუონავს, ყველა გულზე დამდის. მიმწუხრისას ნაფრესკალი ეს კედლებიც ბაცდებიან – აჰა, ჩემი ზაფხულიდან შენახული კადრი.

ჩამომტვრეულ ჩუქურთმასთან ბალახს ღერო მიხმობია (ვინ ასწავლა მკურნალობა ბალახებით ტაძარს?!). აქ არც გზები მემხრობიან, აღარც მთები მემხრობიან. ნეტავ, ახლა... ნეტავ, ოშკის ახლა ფერხითი დამსვა!

საკმეველისუნმონატრებულ კედლებს ბზარი ემატება, ეს ზამთარიც, ალბათ, კიდევ ერთ ჩუქურთმას მოშლის. ლოდზე – ბზარი, ბზარში – ტოტი, ტოტზე ხავსიც მედარდება, ჩვენი ოშკი მენატრება, ჩვენი კოჭლი ოშკი!

● მინამდე მანძილს ველარ ზომავს მილი და ვერსი, გადავარდნილი (ღვთის პირიდან) წაგილო ქარმა. ამ რუდუნებით გამოწერილ – დილიდან ვერ სვამ – ნამლებს და ფიქრობ: ვერასოდეს გაგიგო ქალმა!..

ძმებმა – მით უფრო. ჩაიკეტე, ჩანექი, ჩაშრი; ძველი იმედის საჩქეფურსაც დაუცე ნოშო. ჩარდახში პაპის შენახული ხან ნეკო აშრე, ხან აკვლევიანე სიძვის (სავსე) დიაცებს ხოში.

ხან ადექი და სხვის საფლავში ჩანექი ნებით, ხან სხვისი ცოდეა განიკითხე, ხან მადლი ირგე; ხან, ლოცვით სავსე, საუფლოსთან პასექით ები, და ხან ავსებდი, წარბშეკრული, ჰამასის რიგებს.

მერე მოგებზრდა ყველა დოგმა, კანონი, ჩარჩო, ყველა ორდენი, ყველა სკიპტრა, ტახტი თუ დაფა... და როცა ყველა: ბატონი თუ ბარონიც ჩარჩობს, შენ, როგორც სითბო, თეთრი ფერფლის, ანტიკურ საფლავს,

მშრალ სულში ჩაგრჩა სიყვარული – გადახნულ ფსკერზე.

მერე აიღე თავზე ხელი, აიღე ჩალმა, და გამოუჩნდა შიშველ მინას დახრილი ღერძი... მერე დაღლილი ფოთოლივით წაგილო ქარმა.

დაგვაშორებენ

დაგვაშორებენ გაყინული სახეებით, დაგვაშორებენ თვალებით, ვნებაჩანაცრული მზერით, მოკლე ნაბიჯებით, რომლებსაც მიმართულება არ აქვს;

ქარის ქირქილს გადაგვაყოლებენ ან მეზობლის ძუკნას ყეფას, შენი სილამაზე რომ ეუცხოვა... თვალებს ნაცრით ამოგივსებენ და ცრემლის ლუკმა-ლუკმა გადაყლაპვას გასწავლიან. ეშინიათ – კალთაში ჩაღვრილი ჩემი ნილი ცრემლით არ დაფეხმძიმდე...

გეტყვიან: ისედაც მზენაკლული იყო, სულ აიმ მარტოკაცა ბილიკით მიდიოდა, თქვენ ორს, აბა, როგორღა გაგიყოლებდათო... ხის სახლში ჩამკეტავენ და კარს ხუთი ლურსმნით ამიჭედენ, სახლს ერთი სარკმელი ექნება – აღმოსავლეთით და მე ჩამავალ მზეს ველარ დავინახავ. მე დავრჩები უმზეოდ...

მერე დავდგები მუხლზე, როგორც ბრმა პილიგრიმი და ვთხოვ ღმერთს, დამიბრუნოს ჩემი მზე. დრო იდენს ფუთობით ან გიგაპასკალობით. მერე მოვა წვიმა. ინვიმებს ორმოც დღეს ან ორმოც მილიონ ფუთს – წუთში

და ჩამორეცხავს ნაცარს შენი თვალებიდან. შენ იდგები ერთადერთ მთაზე, ჩვილით ხელში და ყოველისმომცველი მზერით გააცილებ ცრემლის ზღვაში მცურავ ხის სახლს,



წუკრი ბერეთელი

რომლის ერთადერთი სარკმლიდანაც მე ისევ დავინახავ ჩამავალ მზეს. მზეს, რომელიც მხოლოდ ჩემთვის ამოვიდა და მხოლოდ ჩემთვის ჩავა...

სიცოცხლის ხეხი

ძალ-ლონე არ დაზოგო, დედა! გვიანი გაზაფხულიდან დაიწყე, როცა ქალის თავიდან მონაბერ ჰაერს ნაბლის და ცაცხვის ყვავილის საოცარი ნაზავი მოაქვს: გამომამზეურე სარდაფის სუნით სავსე მინის ჭურჭელი და საგულდაგულოდ დარეცხილი, თავდაღმა დაანყვე – თხილის ტოტიდან გადამფრთხალი შაშვის ჭახჭახმა არ დაბზაროს;

მარწყვით დაიწყე. შენი შვილების გულელებით, სათითაოდ, ფრთხილად გადაიგორე ხელისგულზე, მერე მზეჩამდგარი ალუბლების, შავი და წითელი მოცხარის, გვერდნითელა და შავი ქლიავის, ტყემალის და ჟოლოს ჯერიც დადგება. მერე კალთები აიკეცე და ნაირ-ნაირი ვაშლით და სამარიობო მსხლით აივსე, გულაბი – ცალკე.

ბოსტნიდან : კიტრი და პომიდორი, სტაფილო და მწვანე ხახვი... ის მკლავისსიმსხო წინაკებიც არ დაგავინყდეს. მოზიდე ყველაფერი, ნელ-ნელა, ბებრული სიდინჯით და სიჯიუტით და აავსე მინის საწყაოები ჩემი სოფლის ხვავით! მოხუფე, დაგმანე და ასმეერთედ გადაამონმე – უცხო ჰაერი არ შეეპაროს, მაგ სოფლის გზას როცა გასცდება. აავსე პოლიეთილენის ფერადი პარკები თხილით და კაკლით.

ლეღვის ჩირი და ჩხა-აკიდო – ესეც ზემოდან. ყველა სიოს ფეთვა წამოკრიფე, ყველა დილის ნამი, ყველა მიმწუხრის სუნთქვა; ფერები: მჭახე და ბაცი, წითელიდან – იისფერამდე. ლუში ნუ გინდა, აქაც ბლომად მაქვს...

ჰოდა, დედა, ყოველ კვირა დღეს, როცა სოფლის დედაკაცები სასწაულებრივად გადარჩენილ მონწულ კალათებს კვერცხით თუ ნიყვით ამოავსებენ და კორბოულის ბაზრის გზას დაადგებიან, შენ გამოდი ჭიშკართან, იქნებ ქალაქში მომავალ მგზავრს ვინმეს გადაეყარო და გამოატანე თითო წვეთი სიცოცხლე ჩემთვის... თუ მგზავრი დაგზარდეს, ჩიტს შეაბი გალუულ ფეხზე. რაც ჩიტმა ვერ ზიდოს – ქარს გამოატანე, ოღონდ როგორმე გადმოლონ ეს ასიოდე მილი თუ ვერსი და შენს უძღვე შვილს განვდილ ხელში ეგ სიცოცხლის ხემსი ჩაუდონ.

„მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია!..“

ყველა სხლი, სდაც ხვენ ვართ, არის აცადემია, ყველა აცადემია, სდაც ხვენ არ ვართ, არის სხლი!



პენსიონატი... პენსიონატი... პენსიონატი... პენსიონატი... პენსიონატი... პენსიონატი... პენსიონატი... პენსიონატი... პენსიონატი... პენსიონატი...



სოსო მეშველიანი

უხმოვ

„დავდივარ ვნუხვარ და მენანება“...
(გალაკტიონი)

ჩემთვის ცხადია ყველაფერი, იმ დაუღვრელ ზაფხულის დღეებს სიზმრად ვხედავ, გამეორებით ჩიჩახვს ივსებენ კალიებით ინდაურები, ორლობებში თბილ გუბებში წვანან ღორები, მნიფე ტყემლებქვეშ. დედა ნამდვილ სიზმარს მიყვება, წყალს ვერ გაატან, ისეთია – არც ცეცხლზე იწვის, უკვე მამლებმა დაიყვილეს, – ძალმაც იყეფა, ღია სარკმლიდან ქარს სურნელი შემოაქვს მინის. სველ სიმინდებში მელანდება მამის თითები, ნისლში ყანას რომ ბუნდოვანი სიმწვანე დაკრავს, ლურჯი პეპელა ამოფრინდა კვახის ყვითელი ყვავილის ვინრო ყელიდან და უმაღვე გაქრა.

ოთხნი

„რა მიზეზია, რომ მალიმალ გვემღვრევა სისხლი“...
(იეიტსი)

ნაძვნარებიდან ვეებერთელა მთვარე ამოდის, ახლა ჩიტები, ერთ საერთო სიზმარს ხედავენ. ოთხნი ვიყავით იმ თეთრ ღამეს მარიაშობის, პატარა ღელე, თვის ზვინი, იფნის ხე და მე.

ოთხნი ვიყავით (სიმინდებზე ახლაც დაფრინავს ციციანათელა, როგორც მაშინ (მაშინაც გწერდით), მონყვეტილ ვარსკვლავს ირეკლავდა იმ განაპირას, ნამწამის ღერზე შერჩენილი კამკამა წვეთი.

ოთხნი ვიყავით, ყველა ფიქრის და ლექსის მიღმა, საგულდაგულოდ ამოჭრილი ყველა კადრიდან. ხეების შრიალს ტყის სულების ჩურჩულს ვადრი და მეც დრუიდივით სამუდამოდ შევერწყემე იმ ხმას.

რბილად ეცემა მსხლის ნაყოფი ძირს, გადანოლილ ბალახებზე, სულ მცირედმა ჩქამმაც დააფრთხო მაღალ ჭინჭრებში ყვითელ წინილებს დამხობილი წითელი კრუხი. მომწყდარა ქარიც ლენჩი ტყის ნაგრილს და შავ თუთებქვეშ შესევინა ჭიანჭველები აქა-იქ ტკბილ და მელნისფერ ლაქებს, რადგან ნაყოფი უკვე აკენკეს ეზოს ქათმებმა.

შენ სად ხარ ამ დროს, რომელ მხარეს მივმართო მხერა? იქით, საითაც მოყაყანე ვარხვების გუნდი მიემართება, რომ დაბერზე გაასწროს დაისს.

სავსე ღამე

ძვირფასო, იქ ცივი მდინარე დის, გესმის, ბუ ცხელ ღამეში როგორ კვივის?! ნაძვნარი – სიმაღლე მინარეთის, შამბებში – ბილიკი ლოკოკინის.

იმ ტყეში მაღალი ხეები და ქოხი დგას, დიდპაპამ რომ დამიტოვა. ისედაც ერთმანეთი ხელებიდან გვეცლება, არ გირჩევ ამიტომაც...

იმ მთაზეც საშიშია, დამიჯერე! ასე ამჩატებას მეხუმრები? ჩვენ სულელებს პეპლებივით დაიჭერენ ქარებით აბურდული ბელურები.

წერილი დედისგან

მწერს – წვიმსო, ისე მწერს, ისე წვიმსო, წმინდა წყლის მუსიკა იგულისხმა, როგორც კი გადაიღებს, სველ ტყეებში აქა-იქ ისმისო გუგულის ხმა.

მწერს – სარზე ხვიარა ლობოსი ნემსიყლაპია ზის, გამჭვირვალე ფრთებს აფართხუნებს და მზის ჩასვლისას ბზინავენ ფოთლები ნანვიმარი.

დარბიან ყვითელი წინილები ეზოში, წითელ კრუხს დაყვებიან, ზოგჯერ შენი ლექსიც მესიზმრება... ქოხმახი, ნისლები, არყებიან –

ფიჭვიან-თხმელიანი ტვერები და ანკარა ქაფიანი ნაკადული. ნუ დარდობ, ჯერ ისევ შემოიძლია, სახლსაც და ეზოსაც კარგად ვუვლი.

კალიფორნიის განთიადი

ტირის. რძის ქაფზე რბილი არის ჩვილის ტუჩები. ცა წამოწითლდა ზღვის შორეთში, როლო პუჩეტი თხებს წველის უკვე. თქვენ კი დუმხართ და იმალებით

ჯერ ისევ ბნელ-მუნჯ სამყაროში ჩაკარგულები. შუშისთვალეა, განთიადისფერი მამლები სარკმლის მინებზე ნისკარტებით აკაკუნებენ, ზეთისხილებში აჭახჭახდნენ შაშვები, მაგრამ გაქრნენ სიზმრები გაბზარული სიჩუმის შიგნით, პუანსეტიაც – წმინდა ღამის ყვავილი – გაქრა. სამხრეთით (თუმცა ფერწასული) ჯერაც ჩანს მთვარე,

შარაზე გასულს (სხვა რა გზა აქვს) უნდა თუ არა, გვადალკვივრის ნაპირებთან უსმენს ბაყაყებს, ხილერმო – დაქირავებული მწყემსი – ბატების. ჩემს თუ დაჰყმუის, ძალი თქვენ ბედს თურმე არ დაყვფს, ხართ ბედნიერი (თქვენი მესმის) აქ დაბადების.

კვირტით გყნობა

ეს იგივეა, გაზაფხულზე, საკუთარ სისხლს რომ დაუსხამ, მორწყავ, ბოსტნის ბოლოს ყვავილებს მარწყვის. გახსნის ბაგეებს, ცხენისნაბლის კვირტების სიმსხოს, სათუთ, ცომივით რბილ სხეულზე, შეხება არ წყინს. გაისუსება შუალამისას, ამ დროზე ის ხომ ძუძუსთავს ღეჭავს და თუ ტირის, რძის თბილ ქაფს არწყევს.

გარეთ წვიმს, ქარი აქანავებს ვეება ნიფელს, ახლად დახული ნიადაგი სველზე სველია. უფრო დათბება (იმედია) და მალე მნიფე ალუბლის ტოტებს ნარჩიტები შეესევინან.

სიზმარი

(გიორგის)

ის იწყება მოშრიალე სიმინდებიდან და წყდება არმოსული ჩემამდე ნაქცეული ბავშვის ფეხებთან. რომელმაც მოასწრო თვალის შევლება მწვანე კალიის ზამბარიანი ფეხების, ხელი დაკრა, მსხლის ნახლეჩზე გატრუნულ ფუტკარს და ამოაყოლა მწარე მოთქმას წმინდა ცრემლები – აკაცის თაფლივით თხელი. თხილის უმწვანეს, თავისებურსუნთან ფოთლებს ყნოსავს შავი ხბო, გულწითელა წრიალებს ტოტზე, ხოლო სიმინდის ყვავილებით დამტვერილ ქარში თეთრ თმებს ისწორებს – რა თქმა უნდა, დედაა ჩემი! ბავშვს კი, ბარტყივით დაუღია ყვითელი პირი, თითებით ისრესს ფუტკრის ნაკბენს რძეშემხმარ ტუჩზე.

გალიციური კავრიჩიო

„სხვებთან შედარებით, გალიცია ერთობ ღარიბი კუთხეა ესპანეთში, ამიტომ იქაურებს ხშირად უხდებათ ესპანეთის დიდ ქალაქებში ხეტიალი, სხვადასხვა სამუშაოს ძებნა და ამავდროულად, პროფესიის შეცვლაც კი. ასე მაგალითად, ჩემი ნაცნობი ალფრედო თუ პონტევედრაში თევზმჭერი იყო, ექსტრემადურაში ცეკვას ასწავლის“ (პიო ბაროხა)

წევს მწვანე თევზი პრიალა ფსკერზე წყალგამოცვლილი აკვარიუმის... ტაძრის გუმბათის ქიმებზე მსხდარ წეროებზე და ზღვის მლაშე ქარში მოქანავე ალვებზე მაღლა. ოთახში, რომლის ბნელ კუთხეში ერთი მაღალი, გამხდარი კაცი ახველებს და ბორძიკით უკრავს. კლარნეტის ბგერებს ირეკლავენ ყრუ კედლები და ქოთნის ტიტები ირხვიან ოდნავ მაღლები, როგორც ამბობენ, უქმეებზე, თურმე, ამ კეთილ კაცს უხარია დაკვრა ძაღლების პარიკმახერი ცოლის დაკვეთით.

დაუზარელი და სიტყვაძუნნი, გუდმენობს კაცი, თავისთვის წყნარ და მყუდრო ბინაში. რა მოხდა, უნინ თუ ლოკოკინის სათბურებს რწყავდა.

დუმან ხმამაღალ მუსიკის შიგნით გადასეტყვილი ღამის ქუჩები. შენთვის გუდმენობს, ძვირფასო ინგრიდ, ძველი ფერმერი პაკო ფუჩეტი.

ენვეით, უსმენთ და თან ათას ერთ წვრილმანზე ფიქრობთ. იფიქროთ უნდა. არაფრის გემოს ატანთ ნაფაზებს და ასე მუდამ სავესე მუსიკით, რწყავთ თეთრ ყვავილებს, ფანჯრის რაფაზე დამუნჯებული თუთიყუში კი

დაჰყურებს ქალაქს იმ სიმაღლიდან, დაბლა ნანვიმარ, ცარიელ ქუჩას კვეთს მანანწალა სველი ძალი და გატანჯულ თვალს ნკმუტუნით ხუჭავს.

კარგი წესი

რჩევაა თუ კარგი წესი,
ვის ეწოდოს უდიდესი!
თუ აქვს სული უნმიდესი
და სათქმელი უმდიდრესი.

თუნდაც დარჩეს ოცი ლექსი,
იყოს მარგალიტის მთესი...
შედეგრი კი კმარა ექვსი,
ერთმანეთზე უკეთესი.

ო, ღმერთო ჩემო...

ო, ღმერთო ჩემო, რა დრო მოვიდა,
რა უწმინდური დადის მრავალი...
ფულს სამშობლოზე მალლა აყენებს
ალგეთის მგლების შთამომავალი.

ასე რომ ვცხოვრობთ ლუარსაბივით,
დახლართულია გზები სავალი...
სინდისი, სიბრძნე და სიყვარული,
აი, რა არის ახლა მთავარი!

სიზგარი

წუხელ მესტუმრა მძინარეს,
დავით მეოთხე ქებული...
თვალეზე ცრემლმომდინარე
ამბობდა განრისხებული:

„ – შიმშილი გტანჯავთ ქართველებს,
გამრავლდა თქვენში რიოში!
ჭეშმარიტ ქვეყნის მმართველებს
ჯავრი გვკლავს საიქიოში.

ქრისტე არ მაძლევს უფლებას,
ამოვანგრიო ლოდები!
ღირსეულ ხელისუფლებას
როდემდე დაველოდები!“

**მე პოეზიის ანგელოზი
მალაპარაკებს**

ვაჟავ, შენ ამბობ, რომ სიცოცხლე ომია მისთვის,
ვინც რომ ხალხს ეტრფის და სამშობლოს ბედი
ანუხებს.

წარსულში ბევრი გაითელა სიმართლის
თქმისთვის,
ვერ გადაურჩენ საზიზღარი მტრების
მარწუხებს!

პატრიოტები გადახვეწეს საფრანგეთს იქით,
საზღვარგარეთში შეაფარეს თავი ქარ-წვიმებს...
დანავარდობდნენ ყვავ-ყორნები ამაყად, რიხით...
ბოლშევიკურად დაუნგრეს ბუდე არწივებს!

ის დრო წავიდა, მაგრამ სხვებმაც დაგვლუპეს,
ვაჟა!
ვერ ვფარავ სათქმელს, მწუხარება კოცონს
აჩალებს!
თოფში ტყვიანა? გავარდება, სიმართლეს ვაშა!
გული მწყდება, რომ გზა დაუთმეს შემდეგ
ყაჩაღებს.

დღეს თავისუფალ საქართველოს აღარ აქვს
ძალა,
კეთილდღეობას გვპირდებიან, თხზავენ
არაკებს...
მათ ვამხელ, მაგრამ შეგნებული არ მეტყვის,
კმარა!
მე პოეზიის ანგელოზი მალაპარაკებს.

აგონიკა

(ბალადა)
მუხრანბატონი ცხენზე მჯდარი ლაშქარს
გაჰყურებს,
უქმად მახვილი ჩაუბლუჯავს პირგაბასრული...
უნდა გაიმბოთ ისეთი რამ, რომ შეძრწუნდებით,
ჩვენში ლალატის ვინ გაიგო ზრდის დასასრული!

რა საზარელი ამბავია, იქ ისმის დიდი
ხმები: მრისხანე, ხრინწიანი, გაბოხებული.
ვაგლას, „მუხრანმა“ მოტყუებით რუს ჯარს გადასცა,
სამოცდაათი არაგველი ამბოხებული!

მაგრამ მთიული და მოხვეე ვის დაუნახავს,
ბრძოლის ველიდან გამქცევი, ან უკუმხვეველი
და შეუპოვრად, სხვებთან ერთად რუსებს ასკდება
ბეჭა და ზეზვა, მღეთელი და ხანდოსხვეველი...

ეს მუჭა ხალხი სისხლით ბლომად ტალახს ამზადებს,
კვლავ უერთდება თიხა მინას ოფლში რეული...
მაგრამ თქმა უნდა? უსათუოდ რომ გაიმარჯვებს,
თითოზე ოცი, ბუზებივით შემოხვეული...

– დაჰკა, ვაჟებო! – მეთაური რისხვით გაჰკვივის,
ჩოხელი წითლად შეღებილი, მრავალტანჯული.
ასე მრავალმხრივ დასერილმა სამიც იმსხვერპლა,
მალე მინაზე მიესვენა გამოხანჯული.

აქ განწირული კაცებისგან სამილა დარჩა,
ერთიც აჩეხეს მტრებმა ხირჩლა ლუდუშაური...
თითქმის მაშინვე, როცა მძლავრი მუშტით
გატყორცნა,
ხმაღატეხილმა ქერა რუსი, როგორც შაური.

საუბედუროდ, მომდევნოც კი იმ წამს გაფატრეს,
ხირჩლას საშველად წამოსული ბეჭა მღეთელი,
დაუდეგარი ზეზვა ყვირის ომახიანად,
ისე ტრიალებს მტერთა შორის, როგორც ბეტერი!

მაგრამ დასუსტდა, სისხლისაგან რომ დაიცალა,
შემოხვია ჯარი, რისხვით გადარეული...
თავდაფლეთილი მოძმეთ შორის ისე დაეცა,
რომ ვერ მოიკლა ამ ბრძოლაში ჟინი ეული...

დღეს კი ასეთი ვაჟკაცების სულების კრება,
უცქერს ტყვედ ნამყოფ ჯარისკაცებს რისხვად
ქცეული...
ქართველ ბიჭების დაჩაგვრის და
დაჩოქებისთვის,
სურთ, რომ გაგლიჯონ კოკოითი დემონწვეული...

ჩვენი ვახტანგი კვლავ მოუძღვის სამას არაგველს
და აზანზარებს საიქიოს ცხრა ძმის გნიასი...
მათი დედები საბრძოლველად კვლავ ახელებენ,
დარდით ევსებათ საცოდავებს სული იასი.

ანგელოზები დიდი ჯავით ძლივს აკავენენ,
რადგან არ უყვარს იქ მდგომ ქრისტეს ომი ტიალი...
განრისხებული გორგასალი ცხენს მოაჭენებს,
კიდევ ივსება მებრძოლებით ველი ტრიალი...

„შეჩრდით, ხალხო! – ძმათა კვლევი ომი არ გვინდა,
თორემ ცოცხლებშიც გვირევი რჩეულთ ნაკრები,
საქართველოსთვის სისხლის დაღვრა თუ
დაგვჭირდება,
ღმერთმა არა ქნას, რომ ჩვენ ვიყოთ თქვენზე
ნაკლები!“

ივერია

ივერია დაძაბუნდა,
ასე ღმერთმა რად ინება?!

რუსეთის გახალისება,
ქართველის ცრემლის დადინება.

ჩვენი ტერიტორიების
ისევ გამოწაპირება...
ნაწილობრივ თუ სრულდება,
პრეზიდენტის დაპირება.

უსამართლოდ ვიჩაგრებით,
რომ არ გაგვდის აყვირება...
ცოტანი ვართ, არ ხერხდება
რუსთა დედის ატირება!

ვნატრობ, ბოლმით შეიცვალოს
ავკაცების გაცინება...
ნეტა, მალე დამანახა
საქართველოს გაბრწყინება.

საქართველო ლამაზია

საქართველო ლამაზია,
არის ერთი მთლიანობა.
სულ თანაბრად საყვარელი
ბარია თუ მთიანობა.

მხოლოდ საკუთარი კუთხის
შეგვანუხა იარებმა.
ვერ ვისწავლეთ განურჩევლად
სიყვარულის ზიარება!

ამიტომაც ხშირად იყო
დაშლილ-დაქუცმაცებული
და ადვილად გვამარცხებდა
მტერი გამამაცებული.

წასაქცევად ტორტმანებდა
ქართველისგან გაცემული,
ნატრობდნენ, რომ დავენახეთ
დაჩოქილი, დაცემული.

ეს მესხეთი, ის აჭარა,
თითქოს გადაგვარებული,
სხეულიდან მოგლეჯილი
გული გავარვარებული.

საკუთარი ხალხისათვის
ფეხქვეშ მახე დაგებული,
თავისუფლებისთვის ბრძოლა
იყო ცუდად გაგებული.

ხშირად ნისლი, ხშირად ბინდი,
ბნელი გამომთვარებული,
მზის სხივები ნაწილობრივ,
მხოლოდ გამოპარებული.

ნუ გვექნება წინაპრების
ცუდი, გადმობარებული.
დე, გვწყალობდეს ღვთისმშობელის
კალთა გადმოფარებული!

ნოდარ ჟიჟიაშვილი



ქართული სპექტაკლის მსახურად „ზვანაგის უხელო ქვეყანა“

მარინა ქსოვრალი
-ხარტიშვილი



დაკვირვებული გონების თვალთვალს ხანა ხვდება, რომ თაობათა წინაშე სხვადასხვა ფორმით თითქმის ერთი და იგივე პრობლემები დგება და მათი ობიექტური დანახვა, შეფასება და სხვათათვის გადაცემა გამორჩეულ, გულმხურვალე მამულიშვილებს ხვდებათ ხოლმე წილად. როცა ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრულ, დრამატულ თუ პუბლიცისტურ ნაწარმებს ვკითხულობთ, თვალწინ გვეშლება მის მიერ თავისებური ლაკონურობით დანახული ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი, მისი გაჭირვება და სულიერი სიმძლავრე, რაც შერჩენილია ხალხში ქრისტიანული ცხოვრების წესის მიდევნებით. მწერალი ფორმით მცირე სერიოზულ ნაწარმოებებში იშვიათ გონებამახვილობასა და მხატვრული ალქმის უნარს ამჟღავნებს და ამ ორიოდ სიტყვით ნათქვამ მინიატურებსა თუ დიდრონ ნაწარმოებებში ზუსტ ცოდნას გვაძლევს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს მდგომარეობაზე, მის ისტორიულ წარსულზე. დღესდღეობით მის ლიტერატურულ საგანძურს ვინმე რომ შეეხოს, ვფიქრობთ, ესეც ასეთივე გამორჩეული ნიჭისა და გამოცდილების ადამიანი უნდა იყოს. სხვათა შორის, ისიც არის, რომ ძვირფასეულობას მაინც და მაინც ხშირად არ მივყავართ და სადღესასწაულო დღეებში უფრო ვიყენებთ ხოლმე.

ჩვენი აზრით, თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის გემოვნებიანი მსახიობის მანანა სურმავეს მიერ მოწოდებული ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“ იქცა მის საავტორო წარმოდგენად სახელწოდებით „ჩვენთვის უცნობი ქვეყანა“. ნამუშევარი შეიცავს დადგმის ელემენტებს, სპექტაკლში მიგნებულია დადგმის საფუძველი და ისეა განსახიერებული. აი, რას ამბობს თავად მწერალი: „როცა ვეროპიელი მიდის თეატრში, მას მხოლოდ ერთი სურვილი აქვს, ესტეტიურად დატკბეს და ყოველდღიურ ჭირ-ვაზამით დაქანცულმა რამდენიმე საათით მაინც დაისვენოს. სხვა რაიმე მიზნით თეატრში არ წავა ვეროპიელი, რადგან სხვა მისწრაფებას სხვა დაწესებულებანი აკმაყოფილებენ.

რუსეთის შეხუთული ცხოვრება აიძულებს მსმენელს თეატრში გარდა მოსვენებისა,

ესტეტიური სიამოვნებისა, გონების განვითარებაც ეძიოს.

ჩვენში, საქართველოში, კი ამ თეატრის დანიშნულებებს კიდევ ემატება ერთი და შეიძლება უდიდესი მიზანი – ენის შენახვა, ენის დემონსტრაცია“. დღეს ჩვენ დავამატებთ ერთ დანიშნულებას – ქართული კულტურის გახსენებასა და დაცვას სნობიზმისა და არაფასეულობათა გავრცელება-დამკვიდრების ხანაში. და კვლავ პუბლიცისტი ნიკო ლორთქიფანიძე: „არტისტების განვითარებისათვის საჭირო იყო ყურადღება მიექციათ არა მარტო რეჟისორებს და დრამატულ საზოგადოებას, არამედ ჟურნალ-გაზეთებსა და ინტელიგენციას“.

ამ სპექტაკლით მოწოდებული თემატიკა დღესაც მტკივნეულია: ქვეყნის მკვიდრთა გაუსაძლისი ყოფა საქართველოში, მიგრაცია, უცხოური კულტურის მიღება, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მაინც ამაღლებული სული ქართველთა. სპექტაკლის მთავარი პერსონაჟია მშვენიერი თავადის ქალი, ტრაგიკული ქალბატონი ელი, რომელიც უცხო, არატრადიციულს ვერ იღებს. მშობლიურის გარდა, ყველაფერი მისთვის მის სხეულზე მოსრიალე იმ ორი გველივით უცხოა და ცივი, სრილაა და სლიკინა, ამერიკელი ბრომლისა და გაამერიკელებული ინგლისელი ჰექსლის სიმდიდრე და მოყვრებული ფუფუნება, ის ამაღლებული ხელოვნებაც, ვეროპელისთვის მიზანი რომ არის და მისთვის რომ ხელმისაწვდომი და გასაგებიცაა: ძვირფასი პოეზია შელისა და გამოყენებზე სხვადასხვა ფერწერული ტილოების წვდომა; მისთვის იმ მონატრებასა და ჩაკირულ წუხილსა და დარდზე აღმატებული არაფერია, რასაც თავისი თბილი ბუდე, თბილისი ჰქვია და რაც „თვალწინ სინემატოგრაფიულად მიუბრუნდა: ბორანი მტკვარზე... ფიქრის გორა... პანსიონის კვიპაროსები... მამა... სიონი... ნარიყალას ნანგრევები... ოთახი სადღაც ჩიხში და, სულ ბოლოს, ტკბილი ძიძა“. მირაჟში ჩარჩენილი სამშობლოს მონატრება, იქ დაბრუნება და, ალბათ, მისდამი მოვალეობის აღუსრულებლობა და გადარჩენის სურვილი, იმედი – ფესვებს ჩაჭიდებისა, კვდაანყვეტიანებს ქართველ ქალს, რომ პირისპირ ებრძოლოს მწარე ცხოვრებას, მხეცს, გველის ნაკბენს, ოლონდაც დაბრუნდეს, ბრომლის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავის ქრისტიანიაში, რისთვისაც მსხვერპლს გაიღებს: იგი ასრულებს ინდურ ცეკვას ორი შხამიანი გველით. და აი, როდესაც მსახიობი – ელი სცენაზე ცეკვავს, უცებ ხელს მოაბრუნებს და ქართული ცეკვის პოზაში დადგება. მსახიობის მიერ შემოთავაზებული ამ მიგნებით ინდური ცეკვისთვის უცხო პლასტიკაში თავს იჩენს გენი. თავად პერსონაჟში კუნთი თავისთავად ამოძრავდება და მოცეკვავე მას მიჰყვება. შემზარავი აპოკალიფსური სურათი გადაიშლება, როცა იგი, მწარე განსაცდელში ჩავარდნილი, თავის თავს სჯის.

აი, რას ამბობს ჰექსლი ელისთან საუბარში ქართველებზე: „მე მგონია თქვენ, ქართველები, ყველაზე უფრო არსებობის შენარჩუნებაზე ფიქრობდით, და ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია, თუ როგორ გადიხანეთ ამდენი, მრავალგვარი უბედურება... მე შეიძლება ისე კარგად არ ვიცოდეთ თქვენი ისტორია, მაგრამ რაც ვიცი, მაკვირვებს, როგორ გადარჩით ამდენს მტერს... მტერს უცხო, შემოსეული იბრძოდით არსებობისთვის... – ეს არის პირველი. ყველა დანარჩენი – ევროპული გატაცება მეცნიერებით, პოლიტიკით, ხელოვნებით და ამერიკის დევიზი – სიმდიდრე, დოვლათი, დოლარი – თქვენთვის მეორეხარისხოვანი მოთხოვნილება იყო თქვენი სულის. მე შეხვდებოდით

საქართველოში ყველა მიმართულების, მდგომარეობისა და ასაკის პიროვნებებს, და განცვიფრებული დავრჩენილვარ... სადაც სრულიად მოულოდნელია, იქაც კი იპოვდით ამ მძაფრ, ავადმყოფურ მუდმივ ფიქრს ეროვნულ სხეულის შენარჩუნებისას“.

დღევანდელ ქართულ სცენაზე ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოების ამორჩევა და მაყურებლამდე დიდი თავმდაბლობითა და აზრიანობით მიტანა სადღესასწაულო ამბავია, ერთი მსახიობის საოცარი შინაგანი ძალისხმევითა და ბუნებრივი სამსახიობო ნიჭის გამოვლენის წყალობით მიღწეული. სპექტაკლს ერთობ ამდიდრებს მსახიობის პლასტიკა, მანერა, მიმიკა, ჩაცმულობა, გრიმი... იგი გვაგრძობინებს მთელი იმდროინდელი ქვეყნის ატმოსფეროს: გარდაისახება პერსონაჟებად; საფორტეპიანო, სასულე და სიმებიანი საკრავების საშუალებით მაცნე-მუსიკოსები სხვადასხვა მოვლენებს გვაუწყებენ – მუსიკას სპექტაკლში ასრულებენ კვალიაშვილების ოჯახი და ოლეგ კაკალაშვილი.

ეს ამაღლებული საბუთია იმისა თუ რა დანიშნულება ენიჭება ხელოვანს საზოგადოების წინაშე – ნაწარმოების გაცოცხლებით მას სურს, მაყურებელს კავშირი დაამყარებინოს დღევანდლობასთან – რამეთუ აღნიშნული სპექტაკლი რეალურობას არ არის მოწყვეტილი. დღესაც აქ მცხოვრებნი ღვთის სახელით და მისი შემწეობით იტანენ მძიმე ყოფას, ხოლო ემიგრანტთა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საჭიროა ამაღლებული სულის დაცვა და სამშობლოში მათი დაბრუნება. ვინ დატოვა ელიმ აქ, თბილისში? ის მცირე ხალხი, ვინც იგი დაიტოვა, მაგრამ ვაი, რომ ვერც დაიტოვა:

მამა – სულთმობოძავი, შვილი – გაძიძავებული, შვინდაძე, რომელსაც ვერც კი მიაგნეს მივარდნილ სოფელში მოქვითინე მოხუცი მამიდა და ცოტა მომგონებელი. ყველას როგორ სჭირდებოდა იგი, არამცთუ მათ დაეტრათ; იყო კი ტირილის დრო?! ელის ეს არ დავიწყებია. საუბედუროდ, ელი მას ემსხვერპლა.

რამდენ პერიოდს გაივლის მსახიობი საფეხურებრივ:

ელის დაბადება. მამა გორდელიანი და დედა გერმანელი, მუსიკის მცოდნე. გრაფ ბორენკოვზე ჯვრის წერას ქალი ჩაშლის საქმროსგან უპატივცემულობის გამო, მას გადაარჩენს ოფიცერი იერონიმე შვინდაძე, შემდეგში ქმარი მისი, რომელიც თავისი ლარობის გამო ვერ შეძლებს, გაუძღვეს ოჯახს. ვაჟის გაჩენა, სიდუხჭირე, წვალბა და მარტოობა.

თბილისში ჩამოსული ინგლისელი ჰექსლი იხიბლება ქალით და ელი თანხმდება, გაჰყვას მას. თუმცა მამამისსა და ინგლისელს შორის დუელი უნდა გამართულიყო, მაგრამ საბოლოოდ მამამ ქალიშვილი ჩააბარა მას მოსავლელად და დასაცავად. იწყება მომხიბლველი ცხოვრება. რუსეთის თვალწინდელი ველეები, პარიზი, ბერლინი; ბოლოს – მიუნხენი. მამაკაცი ცდილობს, ელის აჩრდილად არ დაჰყვას წარსულზე ფიქრი. ჰექსლის კინოქარების გახსნა სურს მიუნხენში და ამერიკელი მილიარდერის ბრომლის დახმარების იმედიც აქვს, რომელმაც ელის დაადგა თვალი.

ქალი საკუთარ ცხოვრებას ჩაულრმავდება. იწყება იმედის განზილება ჰექსლიზე, რომელმაც მისი პატივისცემელი ინდოელი – რამინო ბრომლის მიჰყიდა დიდ ფასად. შეურაცხყოფილი მსახური გაქრა. ბრომლით ჰექსლის აქციებს ყიდულობს, რათა ჰექსლი გაკოტრებას გადაარჩეს.

„ოლონდ წამიყვანეთ თბილისში“...



ნ ა უ რ ჯ ა თ ე ვ ი

ქველი რვეულიდან

ასე ვერაფერს გავხდებით

სხვებმაც ხელი გავატოკოთ, ქვეყნის ვალი ყველას გვაძევს; ამდენ ოხერს რას გასწვდება – ერთი თამაზ ნივნივადე.

ზედმეტი ხარ

ვის უნდა შენი გული, მგ ზნებარე, რისი განცხრომა და ნეტარება; როდის რა გქონდა ან რა გებარა, გადიქცა ქუჩა კაფე-ბარებად.

არეულობა

რუსეთში შეფობს ელცინი, უკრაინაში კუჩმა; ქე ვხედავთ, რომ დაიკავა ტვინის ადგილი კუჭმა.

ინტრიგანთა გასაგონად

ობობავ, რაგინდ ქსელები ხლართო, ნესტში და ობში დარჩები მარტო.

ასეთებს უნდა მოეხაზოთ

(პორტრეტის მონახაზი)

სოვდაგარია და მაყუთს ლუნავს, სახე მიუგავს კამეჩის ფუნას, დაუნურ ელეგიებსაც გვინერს, შხამით და გესლით მაგონებს უნასს.

მღვრიე ტალღა

ტრანსპარანტს იქნევს გამზირზე უგვანს, თვითონაც უგვანი: „ძირს უკანონო მთავრობა!“ – გაჰკივის კლარა შუკვანი.

გაქაჩეს ქვეყნის ამრევი, შეიძრა მთა და ბარია, თურმე ეს ურცხვი დიაციც – „სინდისის პატიმარია“.

ოპოზიციის ბერძენი

(ქონად მოთანთალე არარაობა)

ძეგლი დაფუდვით, მოვზიდოთ – ქვა, მარმარილო კურსების; დროა, გავუხსნათ ამ ზარალს საპრეზიდენტო კურსები.

მართლაც რომ საარაკოა მაგისი წყალწყვა, ტონაჟი; ავტორიტეტი ეზრდება, თანაც მატულობს წონაში.

საბოლოო მიზანი

(დისკრედიტირებულნი)

ქართველთა უმრავლესობა, როს ხდება პარლამენტარი, ცდილობს, საქმეში გავიდეს, უნდათ ცხოვრება ნეტარი.

არის კრედიტა ტაცება, რომელი ერის გაძლოა!.. უჯობთ დღედაღამ გრიალი. კაი სმა-ჭამა, გაძლომა.

ხელოვნური კონფლიქტების მიზეზი

ასე ყოფილა ყოველთვის – დიდი ერევა მცირეს;

რუსეთის სტრატეგიულმა მიზნებმა შეგვიწირეს.

სიახლე ზედა ეშელონში

ალარა გვყავს კვირაია, აქნევიწეს ყირაია.

ტერაქტების კობრა

არ ვსვამ კონიაკს და ყავას, არც ვაპირებ ბრიყვთან დავას; ენა უნდა ამოაძრო – იმ დედაკაცს, გველისთავას.

ამას არაფერი ეშველება

რამდენი ნეხვი სალდება საუკეთესო ნაწარმად; დაგვაბრმავა და დაგვაგვსო – თვალში შეყრილმა ნაცარმა.

მხედართმთავარი

ისე წამსევრდა ვარდიკო, ვერ შექმნა ჯარი, გვარდიკო.

დაქირავებულნი

ცხადზე ცხადია, სულ არ ადარდებთ მათ საქართველო, დაშლილი, შეაკონინეს პარტიებისგან – მოლაღატეთა კავშირი.

სომხეთის სირცხვილი

ბოროტი თესლის ნაგრამი არის ბატალიონი ბაგრამიანის.

რამდენი რამე მახსოვს

რა ჩარხები ტრიალებდა, აქეთური, იქითური... ხან – ეპოქა სტალინური, ხან – ბრეჟნევეულ-ნიკიტური.

ღმერთო, სადღა მივდო თავი, ვის მოვთხოვო ღონე, ძალა, რალა დამრჩა დასაფქვავე – ის ხვიმირი დაიცალა.

სიბინძურის დედოფალი

წველის სპონსორებს, გაფუჟდა, ლუის, ყველას აცხადებს მტრად და მტყუნანად; იყო და რჩება მაძებრად „ხუის“, სხვა დონის კახა – დონა ხუანა.

უფსკრულის პირად ვიმყოფებით

მოისმინეთ ბრალდება: ერი გადაგვარდა, ყველა თესლი მრავლდება, აქ, ქართველის გარდა.

მარტივი შედარება

გავარკვიოთ, რომელი ჯობს ან ვინ სადაურია; დანიელს მე მირჩევნია – დანიელა ურია.

პამპულათა გასაგონად

თქმა გადაკრული ანუ ირიბი, არ გაჭრის. ნალრძობ ტვინზე გიცანი,

საქმეს ლუპავენ შენნაირები – მატრაკვეცანი და ტინგიცანი.

„ბნელსა ვზი...“

ადრეც ვიცოდი, სიკეთეს არ დაგვაყრიდა თელასი; ახლა ვიკითხოთ ზღაპარი – რწყილის და ჭიანჭველასი.

ანგარიში გასასწორებელია

ინვის სიცოცხლე – მოკლე პატრუქი, უნდა მოთავდეს ეს ტრაკა-ტრუქი.

ილაღე

არავინ გკითხავს, რისთვის, ილილინე და ისტინე, მზე ყველას დაუბნელდება, ვის ღონე ლუპავს, ვის – ტვინი.

დალუპვის შიში

სად წავილოთ ჰომეროსი, რუსთაველი, დანტე... დედამინა, ადამიანს, ღმერთო, როგორ ანდე? უფრო ხანძრის მოსურნეა, არ ჯერდება სანთელს.

მერამდენედ

რომ გვატყუებენ, ცხადია, მაშ, პრეზიდენტი სა მიდის? რამდენჯერ გაგვაბურთავეს, რალა ვინამოთ სამიტის...

ოპერის თეატრიც წაბილწეს

(მაიმუნთა შეკრება)

იტყოდი, ფერი დანყვილდა ფერთან... ჟამია წმენდის, კედელთა ხეხვის, კარგა ხანია, შეყრილი ერთად – არ დაგვინახავს ამდენი ნეხვი.

მოიერიშე ქალბატონი

შეხედეთ ამ ქვეყნის ნათრევს, როგორ გვიყვებს, როგორ გვირევს – ეს ახურებული კახა, ფალოსებზე მონადირე, რალა გვიჭირს, მისნაირი ალქაჯები გვყვანან ვირე.

ვერ ავანყვეთ ხმები

სულ გაგვხვეტეს, გაგვიკეთონ ბარემ დერეფანი, არ თავდება გამოთავყვან-გამოშტერებანი, პირველ-მეორეს რომ იტყვიო, მერე უნდა ბანი.

გუბა ფორია

გაგრძელება იქნება



დოროთი პარკერი (1893-1967) – ამერიკელი მწერალი, პოეტი და სატირიკოსი. დაიბადა ლონგ-ბიჩზე, ნიუ-ჯერსის შტატში. პარკერი ცნობილი იყო თავისი მძაფრი, გესლიანი იუმორით. XX საუკუნის ქალაქური ცხოვრების მანკიერებებს იგი ამხელდა გამჭრიახი ხუმრობებითა და ენამახვილობით.

ის იყო დამაარსებელი და წევრი სახელგანთქმული სამწერლო ჯგუფის „ალგონკინის მრგვალი მაგიდა“*. მწერალთა აღნიშნული ჯგუფის დაშლის შემდეგ პარკერი წავიდა ჰოლივუდში და დაიწყო სცენარების წერა – ორჯერ იყო „ოსკარის“ ნომინანტი.

*** რუსუბული ჯარისკაცები**

დოროთი პარკერი

იმ კვირა დღეს შვედ გოგონასთან ერთად ვალენსიის ერთ-ერთ კაფეში ყინულის ნატეხებით სავსე ვეება ჭიქებით ვერმუტს ვსვამდი. მიმტანი ნაცრისფერ ყინულის ბურთულებს მაგიდებს შორის სიამაყითა და ხალისით დააქროლებდა.

ოთახი გამაყრუებელი შეძახილებისგან გუგუნებდა. მიმტანს ხმამალა უხმობდნენ, ხელითაც ანიშნებდნენ, მაგრამ ოფიცინანტს თავის უკან მიბრუნებისას დაკუნთული ზორბა მხრები კედელივით ეფარებოდა და მოთმინებადაკარგულ კლიენტთა გაღიზიანებულ მოძრაობებს ხშირად ვერც კი ამჩნევდა.

ქუჩებში ლამპიონებს არ ანათებდნენ და სწრაფად ჩამოხვდნენ. გვიანი დროის მიუხედავად, კაფეში ბავშვებიც ისხდნენ, რომლებიც ასაკისთვის შეუფერებლად, ცელქობისა და ხმაურის გარეშე, სერიოზული სახით ათვალისწინებდნენ იქაურობას.

გვერდით მაგიდასთან ექვსიოდე თვის გოგონა მამის მუხლებზე წამოსკუპებულყო. სუსტი აღნაგობის კაცს ფართო უნიფორმა ეცვა. ახალგაზრდა, გამხდარი, ფეხშიძემე მუქი ახლდა, რომელსაც გახუნებული ნაჭრის კაბიდან დიდი მუცელი მოუჩანდა და ალტაცებით შეჰყურებდა ქმარს, თითქოს კვლავაც მის მოხიბვას ცდილობსო. მათი ყავა კი ციფდებოდა.

ბამბის ქულასავით ქათქათა გოგონასთვის კაბა მოხდენილად განეხლებინათ და განსხვავებული შეფერილობის საკერებლები თვალში ერთბაშად არ გხვდებოდა. ლურჯი ბავთით თმა ისე გულდასმით შეეკრათ, რომ ერთი ჩამოშლილი კულულის არ მოუჩანდა. ისე კი, ასეთ თხელ თმაზე დიდი ბავთა არ უნდა შეებათ.

– კაი, რა! – ვუსაყვედურე საკუთარ თავს, – რა ჩემი საქმეა ლურჯი ბავთა. ანდა დედა, რომელიც ზის და არაფერს მიერთმევს, თუმცა მშვენიერად კი გამოიყურება. საერთოდ, რატომ ვფიქრობ ამაზე?

დიდი, დაბინდული ოთახი ხალხით გადაჭედებული და ყურისწამლები ხმაური იდგა. დილით ქალაქი თვითმფრინავებმა დაბომბეს, არადა, კაფეში მყოფთაგან სასონარკვეთილება არავის ეტყობოდა, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ისხდნენ.

ზოგი ყავას წრუპავდა, ზოგიც გამაგრებულ სასმელს მიირთმევდა, თითქოსდა ერთი ჩვეულებრივი, რიგითი კვირა დღე ყოფილიყო.

ოთახში განსხვავებულფორმიანი ჯარისკაცები ირეოდნენ – გეგონებოდა, ერთდროულად ოცი არმიის უნიფორმა ჩაუცვამთო. დაჭრილებიც იყვნენ, აქა-იქ ყავარჯნებითაც დაჩლახუნობდნენ. სამოქალაქო ტანსაცმლიანებსაც ბლომად მოეყარათ თავი – ზოგი ჯარისკაცი შინ შევბუღებით ჩამოსულიყო; სახელმწიფო მოხელეებიც აქ იყვნენ, ზოგსაც სტუმარი ახლდა. რამდენიმეს ენერგიული, ახალგაზრდა მუქი უმშვენიერად გვერდს. უამრავი ლამაზი ქალიშვილიც იწონებდა თავს, რომელთაც საკმაოდ მოკრძალებული სამოსი ეცვათ.

– საოცარია, – ვუთხარი შვედ გოგონას, – არც ერთი არ გამოირჩევა მოხდენილი ჩაცმულობით. მგონი, ეს არც კი შეგინიშნავს, არა?

– ნურც შენ მიაქცევ ყურადღებას, – მიპასუხა მან.

ქული თითქმის არავის ეხურა, გარდა რამდენიმე ჯარისკაცისა. ქუდზე ერთი ამბავი გამახსენდა. ვალენსიაში ახალჩამოსული ძალიან განვიცდიდი, ჩემს ქუჩაზე რომ ყველა დამცინოდა. დაცინვის მიზეზი ის კი არ იყო, რომ ნიუ-იორკიდან ვიყავი და რაღაცნაირად ეს სახეზეც კი

მეტყობოდა, პირიქით, ვალენსიაში ამერიკელები უყვართ და პატივს სცემდნენ. ზოგი ექიმი იყო, ვინც საკუთარი საქმე მიატოვა და დასახმარებლად ჩამოვიდა. იყვნენ ახალგაზრდა სათნო ექთნები და ინტერნაციონალურ ბრიგადებში* გაერთიანებული მამაკაცები. აი, სიცილს კი ჩემი ქუდის ფორმა იწვევდა – თითს ქუდისკენ იშვერდნენ და მხიარულად ყვიროდნენ – „Ole!“

ერთი წყვილი აუღელვებლად იჯდა, ერთმანეთისთვის მორიდებით ჩაეკიდათ ხელი და იმდენად გულწრფელი სიყვარული გამოსჭვიოდა მათგან, რომ რეალობისთვის შეუფერებლადაც კი გამოიყურებოდნენ.

ქუდი ახლაც მეხურა, მაგრამ აღარავის დაუცინივარ, რადგან ეს იმ სასაცილო ქუდთაგანი არ იყო.

წამოვდექი და ნაცნობთან გამოსალაპარაკებლად მოპირდაპირე მხარეს გავემართე. უკან მობრუნებულს მაგიდასთან ექვსი ჯარისკაცი დამხვდა და სკამამდე გაჭირვებით მივალწვი.

არაქათგამოცლილ ჯარისკაცებს მხერა ჩაქრობოდა და უსუფთოდ ეცვათ. მათი დაძარღვული კისრების შემხედვარემ თავი უსუსურად ვიგრძენი.

ექვსივე შვედ გოგონას ემუსაიფებოდა. გოგონამ ესპანურიც იცოდა, ფრანგულიც, გერმანულიც, სკანდინავიურიც, იტალიურიც და ინგლისურიც. იგი ძალიან წუხდა, რომ ჰოლანდიურად ველარ ლაპარაკობდა – მხოლოდ კითხულობდა. რუმინულიც დაეინყებოდა.

შვედმა გოგონამ მითარგმნა, რომ ჯარისკაცები სიგარეტს ნატრულდნენ. 48-საათიანი შვებულების ვადა, სადაც იყო, ამოეწერებოდა და სანგრებში უნდა დაბრუნებულიყვნენ. სიგარეტისთვის ფული შეაგროვეს, მაგრამ ერთი ლერიც ვერ იშოვეს. ხელჩანთაში ამერიკული სიგარეტის გაუსხნელი კოლოფი მეგულეობდა. ახლა მათთვის სიგარეტი ძვირფას თვლებზე მეტად ფასობდა. კოლოფი ამოვიღე, თავი თავაზიანად დავუკარი და გაუღიმიე. თავდაპირველად განზრახვას ვერ მიმიხვდნენ, მერე კი კოლოფს დასწვდნენ და სიგარეტს ყვითელფითიანი სანთებელათი მოუკიდეს. ალმოდებულ ფითილს მძაფრი, უსიამო სუნი ავარდა. ჯარისკაცებს შეკვეთილი ყავა მოუტანეს.

შვედი გოგონას დახმარებით ვსაუბრობდით. ჯარისკაცები სიტყვებს საკმაოდ გამოკვეთილად წარმოთქვამდნენ. როცა რაღაცას მოყვებოდნენ, ისე გადმოგვხედავდნენ, თითქოს დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნათქვამი სიტყვასიტყვით გავიგეთ. ჩვენც გვეხატებოდა და თავს ისე ვაჩვენებდით, თითქოსდა სიტყვა არ გამოგვრჩენოდა.



შვედმა გოგონამ გვითხრა, რომ ისინი ყველანი ფერმერები და ფერმერების შვილები იყვნენ იმდენად ღარიბი რეგიონიდან, რომ მსგავს სიღარიბეს ძნელად თუ წარმოიდგენდა ადამიანი. მათ სოფელში კორიდა იმართებოდა და სანახაობაზე დასასწრებად უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ბავშვებიც მრავლად იყვნენ. სწორედ ამ დროს ცაზე გამოჩენილმა თვითმფრინავებმა იქაურობა დაბომბეს. ორასზე მეტი ადამიანი დაიხოცა.

ერთი წელია ექვსიოდე ომობენ და უმეტეს დროს სანგრებში ატარებენ. ოთხი მათგანი დაოჯახებული ყოფილა. ერთს ერთი შვილი ჰყოლია, ორს – სამ-სამი, ერთს კი – ხუთი. რაც ფრონტზე წავიდნენ, მათზე სიტყვაც არ სმენიათ. წერა სანგარში, თანამებრძოლისგან ისწავლეს, მაგრამ შინ წერილის გაგზავნას ვერ ბედავდნენ, რადგან რესპუბლიკელთა მხარეს იბრძოდნენ, სოფელი კი, სადაც მათი ოჯახები ცხოვრობდნენ, მეამბოხებმა იგდეს ხელთ და რესპუბლიკელთა ბანაკიდან წერილის მიმღები შესაძლოა სიკვდილით დაესაჯათ.

ისინი ჯარისკაცები იყვნენ და ნებისმიერ დროს მზად უნდა ყოფილიყვნენ თავგანწირვისთვის. წელიწადზე მეტია, ოჯახებიდან ცნობა არ მიუღიათ, საყვარელი ადამიანებისთვის თვალის არ მოუკრავთ. არ წუნუნებდნენ, უბრალოდ, საკუთარი გულისტყვივით გაანდეს გოგონებს.

მთელი წელი ომობ, ცხოვრობ სანგარში, არაფერი იცი საკუთარ შვილებზე, ცოლზე. შინაურებმა ისიც კი არ იციან, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, ან, იქნებ, დაბრმავდი? შემთხვევით თუ გადაწყდებოდი ადამიანს, რომლისგანაც ოჯახზე ერთ-ორ სიტყვას გაიგებდი.

ექვსიოდე თვის წინათ, ერთ-ერთ მათგანმა ფრანგი ცოლისძმისგან შეუტყვია მეუღლისა და სამი შვილის ამბავი – ყველანი ცოცხლები ყოფილან, თუმცა უკიდურეს გაჭირვებაში უხდებოდათ არსებობა. ყოველდღიურად ლობიოთი იკვებებოდნენ. მისი მეუღლე საქმელზე არ წუნუნებდა, მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ ძაფი არ ჰქონდა ბავშვების დაძინების ტანსაცმლის დასაკემსად. ამან ჯარისკაცი ძალიან დაამწუხრა და გააღიზიანა.

– ღმერთო ჩემო, ჩემს ცოლს ძაფის ნაგლეჯიც კი არა აქვს ტანსაცმლის დასაკერებლად, – გვეუბნებოდა ალელვებული, – ძაფიც კი, წარმოგიდგენიათ?!

ვისხედით და შვედ გოგონას ვუსმენდით, რომელმაც უამრავი საინტერესო რამ გვიამბო ჯარისკაცების მონათხრობიდან. უცებ ერთ-ერთმა მათგანმა კედლის საათს გახედა. ჯარისკაცებს ალელვება დაეტყვოთ. სასწრაფოდ წამოიშალნენ, მიმტანს დაუძახეს, რაღაც უთხრეს. მერე თითოეულმა გამოსამშვიდობებლად ხელი ჩამოგვართვა. მათ სახეებზე ამოვიკითხე თუ როგორ ენადათ დარწმინდი სიგარეტის წაღება – თოთხმეტი ლერი ექვსი ჯარისკაცისთვის. ცხადია, სიგარეტი მათ დაუთმე. კვლავ ხელი ჩამოგვართვეს და გასამხნეველად ყველამ ერთხმად რამდენჯერმე შევძახეთ – „სალუდ!“ ისინი კაფედან გავიდნენ – ექვსი ჯარისკაცი გაჭუჭყიანებული სამოსით და უზომოდ დაღლილები.

ახლა მხოლოდ შვედი გოგონა საუბრობდა, რომელიც ესპანეთში ომის დაწყებისთანავე ჩამოვიდა. ის დაჭრილებს უვლიდა და სანგრებში საკუთარი ხელით დაჰქონდა საკაცე. ჯარისკაცებთან საუბრისას საშინელი ამბები გაასხენდა და ჩუმად, უემოციოდ ველარ იჯდებოდა.

აი, ჩვენი ნასვლის დროც დადგა. შვედმა გოგონამ ხელები თავზემით შემართა და ოფიცინანტის მოსახმობად ტაში ორჯერ შემოჰკრა. მიმტანი მოგვიახლოვდა, უარის ნიშნად თავი და ხელები ენერგიულად გააქნია და უკან გაბრუნდა.

ჩვენი დანახარჯი ჯარისკაცებს გადაეხადათ.

ინგლისურიდან თარგმნა სოფიკო დაუშვილა

* „ალგონკინის მრგვალი მაგიდა“ – ალგონკინის მრგვალი მაგიდა იყო ნიუ-იორკელი ავტორების ცნობილი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ მწერლები, კრიტიკოსები, მსახიობები და მახვილგონიერი ადამიანები. ისინი ყოველდღიურად ხვდებოდნენ ერთმანეთს სადილად სასტრუშო „ალგონკინში“. საუბრობისას წარმოთქმული მათი გესლიანი ხუმრობები და ენამახვილობები მთელ ქვეყანაში გაზეთებით ვრცელდებოდა.

* რესპუბლიკის ჯარისკაცები – ესპანეთის სამოქალაქო ომში (1936 – 1939) ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის მომხრე ჯარისკაცები.

* ინტერნაციონალური ბრიგადები – შეიარაღებული ქვედანაყოფები, შედგენილი უცხოელი მოხალისეებისგან (ფრანგები, ამერიკელები, პოლონელები, იტალიელები, ინგლისელები, ავსტრიელები, გერმანელები და ა.შ.), რომლებიც მონაწილეობდნენ ესპანეთის სამოქალაქო ომში ესპანეთის რესპუბლიკის მხარდასაჭერად.

მადეა

მოდის, მედეა, დამილიე ყანნი ვერძისა,
ვერ ვძლებ არ გითხრა –
გაპატიე, რაც იყო, იყო...
აჭარით მოდი, კოლხის ასულო,
აჭარით მოდი,
შენ რომ ნახვედი,
ის სანაპირო სულ სხვამ წაიღო.
შენს მერეც ბევრი შეცდომები გექონდა,
მედეა,
ბედია ალბათ,
ძნელად გვიმართლებს მართალ
გრძნობებში.
ბერძნების შემდეგ წასაღებად მოვიდნენ
სხვები...

ასეა დღემდე –
ვმრავლდებით და ვკვდებით ომებში.
წყალს ნუ გაატან, კოლხის ასულო,
მაგ გიშრის ნანწავს,
მოდის, გასწავლი ვაზის რტოების
განასკვას თმებით.
ჩვენი ცოდვები
ნაზარეველმა გააკრა ჯვარზე –
ამ ამბის მაცნე
შენს სანუგეშოდ მოვიდა მთებით.
მოდის, მედეა, დაისობას ღიაა კარი,
კოლხის ასულო, მოდი უნამღე დამწვარ
ქეთევანს.
ღმერთმანი, როგორ მოგიხდებოდა
ქართველი ქმარი,
შეიმშვენებდი კოხურ ოდაში აკვნის
დარწევას.
მოდის, მედეა, დამილიე ყანნი ვერძისა,
ვერ ვძლებ, არ გითხრა –
გაპატიე, რაც იყო, იყო...
აჭარით მოდი, კოლხის ასულო,
აჭარით მოდი,
შენ რომ ნახვედი,
ის სანაპირო სულ სხვამ წაიღო.

სვირა ყალაგაპვილი

ბანცხადება

16 დეკემბერს, 3 საათზე, ეროვნული ბოლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ეწყობა პროფ. გურამ ყორანაშვილის მოხსენების „ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხის“ განხილვა.
მოხსენების ტექსტს შეიძლება გაეცნოთ ქართველოლოგიის სამკითხველო დარბაზში.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პოეტი

ჯემალ ჩახავა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

იაკობ გოგებაშვილი ყველაზე კმაყოფილია დღეს გვჩივდება

სულ ცოტა ხნის წინათ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმმა ვარიანში ლამის მთლად საქართველოს უმასპინძლა. 16 ნოემბერს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ პედაგოგთა დელეგაციებს მუზეუმის თანამშრომლების გარდა, მასპინძლობას უწევდნენ საქართველოს ი. გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის საბჭოს წევრები. სპეციალური ღონისძიება წინასწარ დაიგეგმა. კავშირის თავმჯდომარემ, აკად. გარი ჩაფიძემ, ქვემო ქართლის პედაგოგთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ, პედაგოგმა ლეილა გეგეშიძემ, საბჭოს წევრმა, ქ. რუსთავის 23-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა ნათია ალექსიძემ, ქვეყნის მასშტაბით მოიძიეს განათლების სისტემის ღვანლმოსილი და საუკეთესო მუშაკები, უშუალოდ დაესწრნენ მათ გაკვეთილებს, შეაგროვეს ასეთ პედაგოგთა საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, ადგილობრივი რესურს-ცენტრების მუშაკებთან ერთად შეადგინეს დასაჯილდოებელი პედაგოგთა ნუსხა.
ამ საჯარო ღონისძიებას წინ უძღოდა ი. გოგებაშვილის კვირეული, რომელიც ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა ქართულ და არაქართულ სკოლაში ჩატარდა.
ასე რომ, ვარიანში ყველა კუთხიდან ჩამოსულ პედაგოგებს ერთმანეთთან გასაზიარებელი და საერთო თემებზე სალაპარაკო ბევრი ჰქონდათ.
მუზეუმის გამოცდილმა თანამშრომლებმა დირექტორის, მანანა ხიზანიშვილის ხელმძღვანელობით სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის მოამზადეს საკონცერტო ნომრები რაიონის მოსწავლეთა მონაწილეობით.
ღონისძიებას, რომელსაც საქართველოს ი. გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე გარი ჩაფიძე უძღვებოდა, ესწრებოდნენ და უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა: რაიონის მაჟორიტარმა პარლამენტარმა, პროფესორმა ისტორიკოსმა სოსო ვახტანგაშვილმა, ვარიანის საკრებულოს რწმუნებულმა ვახტანგ ბერკაძეშვილმა, გორის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დავით ჩიხრაძემ, გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა პაპუნა კობერიძემ...
მუზეუმის ღვანლმოსილმა და ახალგაზრდა თანამშრომლებმა თვითონ მადლიერება გამოთქვეს რაიონის ხელმძღვანელობისა და ყველა იმ ქართველის მიმართ, ვინც წლების განმავლობაში ყურადღებას არ აკლებს ამ ძვირფას ადგილს და მოსწავლეთა ახალ-ახალ თაობებს აცნობს სახლ-მუზეუმში წარმოდგენილი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ექსპოზიციას.
გაიმართა პედაგოგთა დაჯილდოება.
საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის სამაგიდო მედლებით დაჯილდოვდნენ: წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჭიათურის მართლმადიდებლური სკოლა, ჭიათურის ხალიფაურის საჯარო სკოლის პედაგოგი დარიკო ფეტელავა, გარდაბნის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი ნანა სამხარაძე, ქ. რუსთავის სკოლა „მილენიუმის“ დამფუძნებელი ელზა ლეკვიშვილი, რუსთავის მეორე საჯარო სკოლის დირექტორი ლალი ერქომაიშვილი, ჟურნალისტი, ქ. რუსთავის კერძო სკოლა „მზეკაბანის“ პედაგოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი ლიანა მარტაშვილი; აგრეთვე, ი. გოგებაშვილის სიგელებით დაჯილდოვდნენ პედაგოგები აჭარიდან, მარნეულიდან, თეთრიწყაროდან, ჭიათურიდან, გორიდან, ზესტაფონიდან, ხაშურიდან...
გალაკტიონ ტაბიძის სპეციალური მედლით დაჯილდოვდა პედაგოგი, გ. ტაბიძის საზოგადოების თავმჯდომარე ნინო კაკიაშვილი.
დაჯილდოებულებმა მადლობა გადაიხადეს განუული საქმიანობის დაფასებისთვის და აღნიშნეს:
– ჭეშმარიტი პედაგოგისთვის ი. გოგებაშვილის სახელობის მედალსა და სიგელზე დიდი ჯილდო არ არსებობს.

„ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები რომელიც გინდა, ევროპის ლიტერატურას დაამშვენებდა“.
ა. ლაისტი

იაკობს ასეთი დღეები, იქნებ, აღარც სჭირდებოდა. მისი სული, უდავოა, ზეციურ საქართველოში განისვენებს. მისთვის პატივის მიცემა და მისი დაფასება, გნებავთ, აქ შეკრებაც, ჩვენ ყველას ერთად და, თითოეულს ცალ-ცალკე, გვჭირდება.
„მხოლოდ დედაენა არის ენა გული-სა, გრძნობისა, სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია.“
მხოლოდ დედაენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ... დიად, მხოლოდ დედაენა არის ენა სულისა და გულისა, ყველა უცხო ენანი არიან ენანი მესხიერებისა“, – წერდა ი. გოგებაშვილი. მან ერს მარადიული სამემკვიდრეო ფასეულობა დაუტოვა – ეს „დედა ენაა“. ამ წიგნის ღვანლი ერის გადარჩენისა და განათლების საქმეში უზომოა.
ვარიანში შეკრებილებმა აღნიშნეს, რომ სასურველია ქვეყნის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა და მთავრობამ ყურადღება გამოიჩინონ ი. გოგებაშვილის პედაგოგთა რესპუბლიკური საზოგადოების საქმიანობის მიმართ და ყოველწლიურად სიმბოლური დაფინანსება მანც გამოყონ მასწავლებელთა მორალურად ნასახალისებლად და ღონისძიებათა ჩასატარებლად.
კარგი იქნება, თუ ქვეყნის პედაგოგები თავადაც გამოიჩინენ ინიციატივას ამ საზოგადოების საქმიანობის გააქტიურებისთვის და ყოველთვიურად თავიანთი ხელფასის ფონდიდან, თუნდაც ათ თეთრს შეიტანენ ი. გოგებაშვილის სახელზე გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, რაც საშუალებას მისცემს ი. გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირს, შემოტანილი თანხა ისევე პედაგოგთა და მოსწავლეთა ნახალისებას მოახმაროს, იზრუნოს ი. გოგებაშვილის მდიდარი პედაგოგიური, მეცნიერული მემკვიდრეობის გადასარჩენად, მისი სახელობის სახლ-მუზეუმის დასახმარებლად.
– წინასწარჩვენო ტური ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა სწორედ ამ სახლ-მუზეუმიდან დაიწყო. ის ამ უწმინდეს ადგილზე თავისი ქართული შეგნებითა და განათლებით მოვიდა, – აღნიშნეს მუზეუმის თანამშრომლებმა ჩვენთან საუბარში და იმედი გამოთქვეს, რომ ქვეყნის მთავრობა ირაკლი ღარიბაშვილის თავკაცობით არც ამიერიდან მოაკლებს ყურადღებას ერის სასიქადულო შვილს, მისი სახელობის მუზეუმსა და პედაგოგიურ კავშირს.
ათასი დარღუბალით შეჭირვებულ ქართველ ერს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება იაკობ გოგებაშვილი, რათა გადარჩეს ჩვენი სალოცავი სამება – მამული, ენა, სარწმუნოება.

ლია მარტაშვილი



მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქარესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-ქსარესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ქვირფასო ავტორებო!
რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“
მისამართი: თბილისი, აგლამის ქ. 39
ტელ: 2343330; ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ ნივინიძე

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

თავისუფლების მოედანი №4
E-mail: litsaartvelo@yahoo.com
ტელ.: 292 34 89

გამოდის
პარასკეობით